# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 253 პარასკევი, 13 ნოემბერი 1909 წ. № 253

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, იიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ... თი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ხება ინახება ერთის თვით ... მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირესა) 7 კაპ.**



კვირას, 15 ნოემბერს, ბათუმის ქალაქის გამგეობის ყოფილ წევრის და საზოგადო მოღვაწის

## გრიგოლ იოსების ძის ვოლსკის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დილის 11 საათზე, ბათუმის ქართულ ეკლესიის გალავანში, საფლავზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებს ბათუმის **ქალაქის გამგეობა,** ქალაქის საბჭოს ხმოსანთა, განსვენებულის ნათესავთა, მეგობართა და მის ხსოვნის პატივისმცემელთ. (2—6.—1)

ნადვორნი სოვეტნიკი **ნაკაშიძე**, მღვ. **ონისიმე** და **ისიდორე სპირიდონის ძენი ძოწონიძეები** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარ ძმის

## ვასილ სპირიდონის ძის ძოწონიძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, ამა ნოემბრის 14 რიცხვს, დილის ათ საათისთვის ს. ზარათში. გამოსვენება დანიშნულია ფერმის ქუჩაზე განსვენებულის საკუთარ სახლიდან № 47, სადაც პანაშვიდი იქნება ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. (1—კვ.—1)

**წარმოდგენა № 15.** ქართული თეატრი **წარმოდგენა № 15.**

კვირას, 15 ნოემბერს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა პ. ალექსიშვილისა (პ. გოთუასი) განმათავისუფლებელ მოძრაობიდან საქართველოში

### „პარტიის კაცი?!."

სცენებში 4 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ზამძელი, დ. მგალობლიშვილი, კ. მესხი, გ. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე; ი. ქიქიძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „სამეგრელოს მთავარი ლევან", „გიორგი მესამე", „კოჩრიანი ტოროლა".

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**
**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

**ქართული წარ-** ავლაბრის თეატრი **მოდგენა № 8.**
**შაბათს, 14 ნოემბერს, 1909 წ.**

ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

### და-ძმა

ისტორიული დრამა 5 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, მარგველაშვილი; ბ-ნნი გელიკურაშვილი, გიორგაძე, მირველოვი, სალაყაია, ქიზიყელი, ჯიბლაძე, ჩელტიძე, მამულოვი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასები 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

უმორჩილესად ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურვინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება. დირექცია **ამო-ხარაზიანი.**

### ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**თკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სათასურით. (100—6.—37).

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე. შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისა ერთ 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—204)

### ✦ ზღაპრები ✦
### ქართლში, კახეთში და ფშავში

შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 წიგნ-სა 1 მან. 50 კ. საწყობი იქვეა.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Обществу грамотности. (15—2)

### სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ და შინ. 11—12 ს
**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—58)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

### სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიჭრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—42)

**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კალეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—59)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩევს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—45)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—50)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—105)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქ უ თ ა ი ს შ ი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—47)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—33.—102)

### სტუდ.-მატემატ.

ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტისა. **ამზადებს** მოწაფეებს გიმნაზიის ყველა კლასებისათვის ადრესი: სლეპცოვის შეს. № 3. ე. ფ-ლავა. (2—541—2)

**—◀ ვქილრულობ დაცვას ▶—**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ სააპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—6.—3)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ალექსანდრის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—294)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ბიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**გამოვიდა გასასყიდად**

გრიგოლ ჩარკვიანის მიერ შედგენილი და „სორაპნის" ამხ. გამოცემული



ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.

კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ. ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.

ადრესი: Типографія „Сорапань". Гачечиладзе. (15—2)

### სახალხო სახლი

პარასკევს, 13 ნოემბერს იხსნება **სამუსიკო საზოგადოება,** რომელიც დაარსდა სახალხო სახლში. გაიმართება ჩაიკოვსკის სახსოვრად

### კონცერტი

მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნი დ. ნილოვა, მინკევიჩი, მარტინკევიჩი, ნავასარდიანი, ნიკოლაევა, სამოილოვა, როჩუპკინა, ბ-ნნი ბუნემოვიჩი. ვალენსკი, ვართანოვი, ვინჩენკო, კაევი, ფალიაშვილი, ტერ დავიდოვი, ცხომელიძე, შაბუევი და სხვ.

ხორო და ორკესტრი ზ. ფალიაშვილის და ვინჩენკოს ლოტბარობით. კონცერტის წინ ტერ-დავიდოვი გააცნობს საზოგადოებას ამ ახალ სამუსიკო საზოგადოების დაარსების მიზანს. მაქსიმოვი წაიკითხავს ბიოგრაფიას ჩაიკოვსკისას.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ფასი 5 კ.-დან 80 კ.-მდე.

ანონსი: 27 ნოემბერს ოპერა „რუსალკა".
(3-6-3) ადმინისტრატორი **თ. დოლიძე.**

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი
გლეხთა ამხანაგობა
„კახეთი"
Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ
„Кахетія"

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.
10 ბოთლს ზევით ვგზავნებთ ჩვენის ხარჯით ტფილისში.
По такой этикетѣ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.
Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.
Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.
Русская улица домъ Церковный № 2. (100—6.—14)

### მებაღეობა
### ძმ. ავსარქისოვებისა

იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო საზღვარ-გარეთულ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი ეგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისთანავე.

ადრესი: Ст. Скра Закавк. К. Жел. Дороги, (15—9—5)


# ახალი ამბავი

✦ **„სტაროობრიადცების" გადმოსახლება კავკასიაში.** რუმინიასა და ოსმალეთში მცხოვრებმა „სტაროობრიაცებმა" რამდენჯერმე აღძრეს შუამდგომლობა რუსეთის მთავრობის წინაშე რუსეთში გადმოსახლების შესახებ. ამ აზრით ამ დღეებში სრულიად რუსეთის „სტაროობრიადცების" საბჭომ ამიერ-კავკასიაში გამოგზავნა „ხოდოკი" პ. მ. მოისეევი, რომელმაც უნდა გამონახოს დასასახლებელი ადგილები. მასთან ერთად წამოვიდა ოსმალეთში მცხოვრებ „სტაროობრიადცების" 2 რწმუნებული. სანამ „ხოდოკები" გამოემგზავრებოდნენ კავკასიაში, საბჭო შეეკითხა დეპეშით კავკასიის ნამესტნიკს, რომელმაც დეპეშითვე უპასუხა, რომ „სტაროობრიადცების" კავკ-სიაში დასახლებას არა თუ საწინააღმდეგო გვაქვს რამე, არამედ სასურველიცაა მათი გადმოსახლებაო. განზრახვა აქვთ ამიერ-კავკასიაში რვაასი „სტაროობრიადცების" ოჯახი დაასახლონ (რ. ვ.).

✦ **პოლიცმეისტრის ბრძანება.** შარშან 16 სექტემბერს ტფ. გენ.-გუბერნატორმა გააუქმა 1905 წლის 24 დეკემბრის გენ.-გუბერნატორის დადგენილება, რომლითაც მეეტლეებს ეკრძალებოდათ ეტლების დახურვა, რადგან ზოგიერთი პოლიციელნი ამ დადგენილებას ისევ იცავდნენ და არ აძლევდნენ მეეტლეებს ეტლების დახურვის ნებას, ამისათვის ტფ. პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა ბოქაულებს, განუმარტონ პოლიციელებს, რომ აღარ აკრძალონ ეტლების დახურვა.

✦ **თავდამსხმელთა შეპყრობა.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, გორის მაზრის სოფ. ვაყაში რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაეცა თავ. ლ. რ. ბეგთაბეგოვის სახლს და მოკვლა მოუნდომეს თვით მემამულეს. გაზეთების სიტყვით, პოლიციას უკვე შეუპყრია რამდენიმე კაცი, რომლებზედაც ეჭვი აქვთ, რომ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა შეიპყრეს ანდრია დოლიძე, დიმიტრი მგალობლიშვილი, ამბაკო მგალობლიშვილი, რაფიელ მგალობლიშვილი, ისე შიუკაშვილი და გორა ხარებაშვილი.

✦ **ქალაქის ლომბარდი.** ტფ. ქალაქის ლომბარდის სარევიზიო კომისიას განუხილავს ლომბარდის 1908 წლის ანგარიში და საბჭოში სურვილი გამოუთქვამს, რომ ლომბარდის ოპერაციებიდან შემოსული წმინდა მოგება ლომბარდისავე ძირითად თანხის გასაძლიერებლად გადაიდოსო. საბჭოს ამის შესახებ ქალაქის გამგეობისათვის მიუნდვია მოხსენების შედგენა. გამგეობამ უკვე შეიმუშავა მოხსენება და წარუდგინა საბჭოს. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ლომბარდის მოგება უწინარეს ყოვლისა უნდა გადადებულ იქმნეს იმ მესამე საობლიგაციო სესხის პროცენტების და თანხის დასაფარავად, რომელიც ქალაქმა აიღო ლომბარდის საჭიროებისათვის და რომელიც შეადგენს 200,000 მან. და თუ ამას გადარჩა რამე, ლომბარდის წესდების მე-42 პარაგრაფის თანახმად, უნდა მოხმარდეს ქალაქის სკოლებს, სხვა და სხვა დაწესებულებას. მხოლოდ ამის შემდეგ თუ ფული იქნება, უნდა გადაიდოს ლომბარდის ძირითად თანხის გასაძლიერებლადაო.

✦ **ბეითალთა კრება.** დღეისთვის სამკურნალო საზოგადოების შენობაში დანიშნულია კავკასიის ბეითალთა მორიგი კრება. კრებაზე ვ. ი. ლანგე წაიკითხავს მოხსენებას საყასბოების მნიშვნელობაზე. შემდეგ განიხილავენ საზოგადოების გამგეობის მოხსენებას იმის შესახებ, რომ საზოგადოების შრომათა გამოსაცემად გადაიდოს ფული. ამავე საღამოს არჩეულ უნდა იქმნან დელეგატები სრულიად რუსეთის მეორე კრებაზე გასაგზავნად. ბოლოს მოხდება ახალ წევრთა მიღება და გამგეობის მდივნის არჩევა.

✦ **ტყის გადაწვა.** ქ. გორში შეიპყრეს სოფ. მღ ებრიანელი გლეხი გაუს გოგიჩაშვილი და გორის საპატიმროში გაჰგზავნეს. ამ გოგიჩაშვილს 5 ენკენისთვეს ცეცხლი წაუკიდებია სოფ. ტამაში (გორის მაზრა) ტყისთვის და ერთი დღიური ტყე გადაუწვავს რის შემდეგ იგი მიმალულა და აქამდის დამალული ყოფილა. ეს ტყე კნ. ეკატერინე ვეზირიშვილს ეკუთნოდა.

✦ **ქალაქის საელექტრონო სადგური.** ახლო მომავალში ტფილისში მოელიან კიევის პოლიტეხნიკუმის ცნობილ სპეციალისტ ელექტრიკოს პროფესორს ნ. ა. არტემიევს. იმის ჩამოსვლას კავშირი აქვს ტფ. ქალაქის საელექტრონო სადგურის მოწყობასთან.

✦ **სასკოლო შენობები.** ქალაქის საამშენებლო განყოფილებას უკვე შეუდგა ხარჯ-აღრიცხვისა და პროექტების შედგენის ახალ სასკოლო შენობების ასაგებად. ეს შენობები აიგება იმ თანხით, რომელიც ა. ო. მატინოვმა შესწირა ქალაქს.

✦ **უპასპორტოები.** 11 ნოემბერს მტკვარს უბანში ჩხრეკის დროს დაუპატიმრებიათ 81 უპასპორტო კაცი.

✦ **ლექცია.** 14 ნოემბერს, ტფ. რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი ა. ა. იაროშენკო წაიკითხავს ლექციას თემაზე: „ევოლიუცია ჰაერში ფრენისა და მისი წარმატება უკანასკნელ ხანებში". ამ ლექციის წმინდა შემოსავალი გადაიდება ამავე სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ,

✦ **კახეთის რკინის გზა.** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობის მინდობილობით ინჟინერმა თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა მოლაპარაკება გამართა ადგილების გამოსყიდვის შესახებ იმ მესაკუთრეებთან, რომლების მამულებზედაც უნდა გაიაროს მომავალმა კახეთის რკინისგზამ. ბევრ მესაკუთრეს თანხმობა განუცხადებია, ფულის მაგიერ აქციებით მიიღოს.

✦ **თავდასხმა.** კავკავში, როგორც დეპეშათა სააგენტო იუწყება, 11 ნოემბერს, დილის ოთხ საათზე 30 შეიარაღებული კაცი („ტუზემცებიო", ნათქვამია დეპეშაში) თავს დასცემია პრიხანოვის წისქვილს. ერთი ყარაული მოუკლავთ, ხოლო მეორე დაუჭრიათ. წისქვილის პატრონი და მისი ცოლი გაქცეულან და თან წაუღიათ კასსა და ძვირფასეულობა.

✦ 11 ნოემბერს ტფ. ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველს მარქაროვს თათრის მოედანში ისმაილის დუქანში აღმოუჩენია 18 ტომარა საეჭვო თვისების ფქვილი. მარქაროვს დაუბეჭდია ეს ფქვილი და ისმაილისათვისვე ჩაუბარებია, ხოლო ნიმუში ამ ფქვილისა გამოსაკვლევად ქალაქის საქიმიო ლაბარატორიაში გაუგზავნია.

✦ 11 ნოემბერს ამათუნს ქუჩაზე პოლიციელებს დაუპატიმრებიათ საგენერალ-გუბერნატოროდან ადმინისტრატიულად გაგზავნილი და თავის ნებით დაბრუნებული ტფ. მაზრელი კონსტანტინე მეზვრიშვილი, რომელსაც ტფილისში უცხოვრია გრიგოლ ჯავახიშვილის სახელით.

✦ 11 ნოემბერს, ფოთის მცხოვრებს ნინო ჯიბლაძეს პოლიციისათვის გამოუცხადებია, რომ მის სახლში არ ყოფნის დროს გაუღიათ სახლი და 150 მან. ღირებული ნივთები წაუღიათო. პოლიციას დაუპატიმრებია ოზურგეთის მაზრელი ისიდორე ჩიკანავა, რომელიც გამოტეხილა ქურდობაში და ნივთებიც დაუბრუნებია.

✦ 10 ნოემბერს ელისაბედის ქუჩაზე პოლიციელებს დაუპატიმრებიათ გიორგი დანელია. დანელია ერთ წელიწადია სამხედრო ბეგარას გაურბოდა თურმე.

# როგორ მოხდა?..

ორ დიდ მოვლენას ჰქონდა მნიშვნელობა ქართველ ინტელიგენციის ფსიხიურ ფიზიონომიის შემუშავებისათვის. წარსულ საუკუნის დასაწყისში ეს იყო, ერთის მხრივ, გაუქმებულ ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრების ტრადიციები, მეორეს მხრივ, საქართველოში თითქმის ძალით შემოჭრილი ახალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ფორმა მმართველობისა. ახალი მთავრობა გზას ცეცხლითა და მახვილით იკაფავდა. 1804—1812 წლების შემდეგ მან საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ ჩვენს ქვეყანაში „ეროვნულ-ქართული“ უნდა ძირიანად აღმოეფხვრას და მის ადგილზე დამკვიდრდეს და აყვავდეს „რუსულ სახელმწიფოებრივი“ წესი. კახეთის ამბოხების დამხობის შემდეგ გაჩაღდა ფარული ბრძოლა „ქართულ-ეროვნულისა“ და „რუსულ-სახელმწიფოებრივს“ შორის. სახელმწიფო არაფერს ჰზოგავდა თავის მისწრაფების განსახორციელებლად. იგი არა სჯერდებოდა საქართველოს პოლიტიკო-ეროვნულ ორგანოების მოსპობას. იგი წვრილმანშიაც ერეოდა და სცდილობდა თავისებურობის გარეგნული კვალიც კი აღმოეფხვრა. გიორგი ერისთავის ბიოგრაფი, ბ-ნი მეუნარგია, შემდეგ ამბავს იგონებს მწერლის ცხოვრებიდან. 1828 წელს მთავარ-მართებლის პასკევიჩის დროს ცნობილ გრიბოედოვის ჯვარის წერა იყო სასახლეში. რადგან გრიბოედოვი თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძის (პოეტის) ქალს ირთავდა, ქორწილში ქართველი თავად-აზნაურობაც იყო მიწვეული და მათ შორის ახალგაზდა გიორგი ერისთავიც. „დანიშნულ დროზე,—მოგვითხრობს ბ-ნი მეუნარგია,—გიორგი ქართულის ტანისამოსით მორთული მოვიდა სასახლეში და შეუდგა კიბეს, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება... კიბეზე ასვლის დროს კალთაში სწვდა მას ერთი პოლიციის მოხელე და ზალაში შესვლის ნება არ მისცა ქართულის ტანისამოსით. გიორგიმ ითაკილა ამგვარი შეურაცხყოფა და შინ დაბრუნდა. თავმოყვარეობამ ნება არ მისცა მას სხვა ტანისამოსი ჩაეცვა და ისე დასწრებოდა ქორწილს“. (იხ. თხზულებანი გ. ერისთავისა).

ეს წვრილმანი ფაქტი ფრიად დამახასიათებელია. ქართველ ცნობილ თავადის და პოეტის ქალის ქორწილში ეპატიჟებიან თავად-აზნაურობას და ქართულ ტანისამოსში მოსულებს უკან აბრუნებენ, რიგიან საზოგადოებაში ქულაჯა არ ჩაიცმისო! პირველ ხანში ამგვარი გარემოება საჩოთირო იყო ქართველებისათვის, ხოლო, თან-და-თან, ამ ხასიათის მოვლენათა გახშირებასთან ერთად, ქართველი ადამიანის ამაყობა დაცხრა, მის გულში რაღაც შიში შეიპარა, მისი აზრი ორბუნებოვანი შეიქმნა და ბოლოს თითქოს თვითონ მას ეჩოთირებოდა ქულაჯაში სიარული. „ეროვნულ“ და „რუსულ-სახელმწიფოებრივის“ შეტაკების ხანაში ირკვეოდა და ისახებოდა ქართველ ინტელიგენციის სულიერი ვითარება. და ამ სულიერ ვითარებას რომ დააკვირდეთ, არა ერთს და ორს დრამატიულ ხასიათის ნაკვთს იპოვნით მასში. შეგნებულ ქართველის გული თითქოს ორად გაიყო, ერთი ეგუებოდა და ემონებოდა გარემოებას, მეორე თავისუფლებას ეძებდა, ოცნებით იკვებებოდა. ქართული აზროვნება გაბრუებულ ყოფაში იმყოფებოდა. ძალა, რომელიც მის შეგნების წინაშე იდგა, უჩვეო ზომისა იყო. და იყო მომენტი, როდესაც ქართველ კაცს თითქოს თავის-თავის დავიწყება სწყუროდა. გადაშალეთ იმ დროინდელ გაზეთის ფურცლები. გაჰკვირდებით. გაზეთებში ან მთავრობის განკარგულებანი იბეჭდებოდა, ან კიდევ უცხო ქვეყნების ამბებია მოთხრობილი [1]). „საქართველოს გაზეთში“ (№ 25) დაბეჭდილია სასამართლოს განცხადებანი (объявленія экспедиціи суда и расправы), აგრეთვე განცხადებანი საქართველოს გუბერნატორის ხოვენისა. გაზეთში პეტრე დიდის შესახებ ამბებია მოთხრობილი და სხვა ამგვარი რამ. „ქართულ გაზეთში“, (1821 წ. 16 სექტემბერს) რომელზედაც წმინდა გიორგიც არის დახატული, უცხო ქვეყნის ამბებია მოთხრობილი: „გერმანიიდამ, ოსმალოს ქვეყნიდამ, შერთული ამბავი. აღწერა დღესასწაულებთა, ცერემონია ინგლისის კაროლისა. მოლდავის საზღვრიდან, თრესტიდამ. ინგლისის კარალევას დაგვირგვინება. ვალახიიდამ, საბერძნეთის ამბავი“. უზომო ინტერესი გარეშე პოლიტიკისადმი: „ინგლისის კაროლის ცერემონიის“ და „ინგლისის კარალევას დაგვირგვინების“ ამბებისადმი! მაგრამ სიმართლეს ავცილდებოდით, რომ ვსთქვათ, ქართველების შესახებ არასა ჰბეჭდავდნენ იმ დროინდელ ქართულს გაზეთებში. „საქართველოს გაზეთის“ ერთ-ერთ ნომერში (ნოემბერსა ზ დღესა ჩყით წელსა) ვკითხულობთ: „გორის უეზდის სოფელ დგვრისის მცხოვრებნი ბარძიმ მაჩაბელოვის ყმა დათუა კვლენიძე თავის ცოლით და ვაჟით და ქალისშვილებით, ძმისწული ნინიათი და ვენახით იყიდებიან იმ ას სამოცდა სამს რუბლში, რომელიც მართებს მას აზნაურის გაბაშვილის ქალის ელისაბედისი. იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არს ამა წლის ნოემბრის კ. და დეკემბრის ე. და კ. რიცხვებში“-ო. უეზდი, მაჩაბელოვი, რუბლი!.. აქ უკვე „ახალი სტილის“ მარგალიტებია.

ასე იყო საქმე 1832 წლამდე. აქ გარემოება ცოტათი იცვლება. გაზეთს „ტფილისის უწყებას“ აარსებს სოლომონ დოდაშვილი—პირველი ქართველი ინტელიგენტი, რომელმაც უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო. გაზეთთან ერთად ჟურნალის მსგავსი სალიტერატურო ნაწილიც იბეჭდებოდა. ერთ ნომერში (№ 3, 1832 წ.) მოთავსებულია შემდეგი: 1) ლექსად „მოწოდება“ ივერია ძაზულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსავლისასა საქართველოსა საზღვართა შინა— ღ. ლ. თ. გიორგი ერისთავისა; 2) „ირაკლის მეორეს მეფობიდამ“ ისა; 3) პოემა „ოსური მოთხრობა“ უცნობისა; 4) კრიტიკა ს. დოდაშვილისა, შენიშნად დამარხვისსა წესსა ზედა უკანასკნელ მეფეთა ზედა საქართველოსათა, რომელიც დაბეჭდილი იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთის 1831 ამასა წელსა“. ქართული აზრი ისევ თავის თავს უბრუნდება, „კარალევას და კაროლის ცერემონიები“ მას აღარ აინტერესებს. იგი იგონებს წარსულს, რათა უკეთ შეიგნოს, რას წარმოადგენს აწმყოში. სოლომონ დოდაშვილი, პირველი ქართველი ინტელიგენტი, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, მეტად საყურადღებო პიროვნებაა და მის შესახებ ლაპარაკი კიდევ მოგვიხდება.

დუალიზმი მეტად მძიმე ფსიხიური მდგომარეობაა. პიროვნების ორად გაპობა ღრმა წყაროა ადამიანის მწუხარებისა და სევდისა. ქართველ ინტელიგენციის პირველი ჯგუფი (ს. დოდაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი და სხვანი) ამ მწუხარების და სევდის ატმოსფერაში აღიზარდნენ. მაგრამ ესენი ბედს, პირველ ხანში მაინც, არ დამორჩილდნენ. აუტანელი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანის სინიდისი ანუ ნება მის შეგნებასთან ერთად შეთანხმებული არ არის. ქართველ ინტელიგენციის პირველ ჯგუფის სულიერი დრამა სწორედ აქ იმალებოდა. და ინტელიგენტი სულ იმის ძებნაში იყო, რომ როგორმე სინიდისი და ნება შეგნებასთან შეერიგებინა, როგორმე ამოევსო ხვრელი, რომელსაც უძირო საფლობსავით გაეკეთებინებინა ბუდე ქართველის გულში. და აი ჩვენ უკვე 1832 წლის შეთქმულობის წინაშე ვდგევართ, როდესაც გამოაშკარავდა ხსენებულ ჯგუფის საიდუმლო მისწრაფება და სურვილი პიროვნების აღდგენისა და გამრთელებისა.

ამბობენ, 1832 წლის შეთქმულობა თავად-აზნაურული ხასიათისაო. თავადებს, უკმაყოფილო ბატონიშვილებთან ერთად, უნდოდათ ძველი რეჟიმის დაბრუნება, რათა ამ სახით კვლავ აღედგინათ თავიანთი კლასიური უპირატესობაო. ჩვენ არა ერთხელ გვქონდა ამ საგნის შესახებ ბაასი და წინაც ვამბობდით და ეხლაც ვაღვიარებთ, რომ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის საკითხი ყოველთვის არ იყო დაკავშირებული ამა თუ იმ კლასის ბატონობის თუ გაბატონების სურვილებთან. რუსების შემოსულისთანავე თავად-აზნაურთა ინტერესი უფრო მორჩილებას და იარაღის დაყრას უკარნახებდა მათ. და თუ აჯანყებებში (1832 წ.) და შეთქმულებაში (1832) თავად-აზნაურობას ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა, ეს იმას მოასწავებდა მხოლოდ, რომ ხანგრძლივ ისტორიის მიერ შემუშავებულ თავისუფლებისადმი მისწრაფებას თავად-აზნაურობის ერთის ნაწილის გულშიაც ჰქონდა ადგილი. და 1832 წლის შეთქმულობაში სწორედ ამ გვარ თავადებთანა გვაქს საქმე. შეთქმულთა წრე მარტოოდენ „თავადობით“ არ დახასიათდებოდა, თუმცა „თავადური“ ელფერი ჰქონდა. ეს კარგად ესმოდა ოფიციალურ გამოძიებასაც (იხ. კიტა აბაშიძის „პოლიტიკური რომანტიზმი“ „მოამბე“, № 1, 1905). ამ გამოძიების ცნობებით, შეთქმულთა წრე თანდათან უფრო ლიტერატურულ ხასიათს იღებდა (общество принимаетъ нѣкоторый видъ литературный). ახალ წევრთა შორის (ორბელიანების, გ. ერისთავების და დოდაშვილის გარდა) მწერალნი და მასწავლებელნი იყვნენ. „Вновь поступающіе члены были болѣе званія ученнаго“—მასწავლებელი ავთანდილოვი, დ. ყიფიანი, რაზმაძე, მთარგმნელი მამაცაშვილი და სხვანი. როგორც ვთქვი, შეთქმულთა შორის ყურადღებას იქცევდა სოლომონ დოდაშვილი—ეს მამამთავარი ინტელიგენტურ აღფრთოვანებისა და უანგარობისა, ხოლო ამასთან ინტელიგენტურ წინააღმდეგობისა, ორ-სულოვანობისა და თითქმის უპრინციპობისა. დოდაშვილი უნივერსიტეტში ყოფნის დროს სწერს ლოღიკის სახელმძღვანელოს რუსულად, რა თქმა უნდა. პირველი ქართველი ინტელიგენტი თავდაპირველად რუსი-მეცნიერ-მწერალია. თავის წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი მიმართავს რუსეთის ხელმწიფეს და ივერიის მფლობელს და ამბობს: დღემდე ივერია უყურადღებოდ იყო დატოვებული და ახლა თქვენის მეოხებით მას მზის შუქი ამოუბრწყინდა და გარს განათლების შარავანდედი მოეფინება, თქვენი მეოხებით აღმოსცენდება სწავლა-განათლება და სიბრძნე-მეცადინეობაო“ (იხ. ზ. ჭიჭინაძის „სოლომონ დოდაშვილი“). ქართველ ინტელიგენტის „პოლიტიკური აზროვნება“ თან და თან ირკვევა. 1827 წელს იმპერატორს შესხმას უწერს. 1831 წელს კი შეთქმულობის სამზადისშია და პროპაგანდის მიზნისთვის გაზეთსაც აარსებს 1832 წელს. ამავე დროს ს. დოდაშვილი ადგენს ქართულ გრამატიკას და ქართულ რუსულ ენის „რაზღავორის წიგნს“. ასეთ სახელწოდებას აძლევს თავის შრომას. ასე რომ „რაზღავორის წიგნის“ ავტორი ერთსა და იმავე დროს მწერალიც არის, რედაქტორიც, რევოლიუციონერიც და... (ნუ გაიკვირვებთ), თიანეთის მაზრის უფროსის თანაშემწეც. ინტელიგენტის პიროვნების ფიზიონომია თითქმის დამთავრებულია. მაგრამ ერთი მიუცილებელი ნაკვთიც. ცოლად გარუსებული პოლონელი ჰყავდა დოდაშვილს. და ამ გარუსებულმა პოლონელმა ქალმა მის შვილს ქართული ენა დაავიწყებინა და რადგან მამას ათასნაირი საქმე ჰქონდა კისერზე—„რაზღავორის წიგნი“, რედაქტორობა, შეთქმულობა და დიანბეგობა—ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა. ეხლა კი ჩვენს წინ მთელი თავის სიგრძე-სიგანით და „მშვენიერებით“ სდგას ქართველი ინტელიგენტი. ამ ინტელიგენტმა ოთხმოცის წლის წინად განიცადა თავის სულიერ ვითარებაში ის, რაც დღეს არის ქართველ ინტელიგენტის ფსიხიკის საფუძველი. სოლომონი მამამთავარია ინტელიგენციისა, მისი ნუგეში, ხოლო ამასთან მისი წყევლა და სასოწარკვეთილებაა!

როგორც ვსთქვი, ქართველთა აღშფოთებულმა სინიდისმა „შეთქმულობაში“ ჰპოვა შვება. შეთქმულთ აზრადა ჰქონდათ მოეწვიათ რუსის უმაღლესი ადმინისტრაცია და მოხელენი სათავად-აზნაურო ბალზე და იქ ყველანი ამოეწყვიტათ. მერე უნდა დაერეკათ ზარები, დაეყენებინათ ხალხი ფეხზე, გამოესვენებინათ ეკლესიებიდან ხატები და საქართველოს განსათავისუფლებლად ხალხი აეჯანყებინათ. ყველა ამის აღსასრულებლად, ეჭვს გარეშეა, დიდი ძალა იყო საჭირო. ვიზედ და რაზედ ეყრდნობოდნენ შეთქმულნი? არ შევცდებით თუ ვსთქვით, რომ მათი მთავარი ძალა და მთავარი იმედი იყო მათი სურვილი და მათი ოცნება. შეთქმულნი ხშირად იკრიბებოდნენ ალექსანდრე ორბელიანთან, თეკლე ბატონიშვილის შვილთან. ოფიციალურ გამოძიების სიტყვით, აქ „სადილს შემდეგ, ღვინით შეხურებულნი და აჯანყების მოთავეთაგან აღელვებულნი, განსაკუთრებით კი ელიზბარისაგან (ერისთავი) სვამდნენ საქართველოს განთავისუფლებისათვის და პირდაპირ მსჯელობდნენ, რომ აჯანყებაც ამა და ამ რიგად უთუოდ საჭიროაო“. შეთქმულნი დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ თავიანთ ორგანიზაციის წესდებებს. მათ ხელში ჰქონდით ბერებ ფილადელფოსის (კეკნაძე) და პორფირის მიერ შემუშავებული წესდება „საიდუმლო მეგობართა კავშირისა“ და წესდება „ფარულის და განუწყვეტელის მეგობრობისა“. „მესტიური ესე ნაწარმოები, ამბობს გამომძიებელი კომისია:—როგორცა სჩანს, ყველაფრიდან მასონებისა და სხვა რამ საიდუმლო საზოგადოებათა წესდებიდან არის აღებული... კილო ამ აქტისა სრულიად მისტიურია, მაღალი და ბუნდოვანია. გარეგანი აზრი კი კეთილზნეობრივი და ღვთის მოყვარულია, მაგრამ არსებითად მეტად მავნე განზრახვისაა და თვისებითაც თავისს დროზე დიდი ვნების მოტანა შეუძლიანო“. ყველა კარგი,—ძალა, იარაღი, ჯარი?! აქაც სურვილების მეტი არა იყო-რა. ს. დოდაშვილი ამტკიცებდა, კახეთი როგორც ერთი კაცი აღდგება. კახელების აჯანყება ჩემზე იყოსო. კახეთი კი 1812 წლის დამარცხების შემდეგ სულ განაბული იყო და შფოთს არ აპირებდა. ალექსანდრე ორბელიანს ბორჩალოდან თათრები უნდა მოეყვანა. ისე ფალავანდიშვილი კინტოების მიმხრობას სცდილობდა (sic). ხოლო აქაც ცარიელი ლაპარაკი იყო. იმერეთიც მოაგონდათ. ვინმე ლორთქიფანიძეს ფულიც მისცეს საქმეების მოსაწყობად. ლორთქიფანიძემ ფული ჩაიჯიბა და სადღაც მიიმალა. ჯარის იმედიც ჰქონდათ. ერთ-ორ აფიცერს გაუზიარეს თავიანთი განზრახვა და ეგონათ, საქმე გაკეთებულიაო. პოლონელებისკენაც ეჭირათ თვალები. იმ დროს პოლონეთი ეომებოდა რუსეთს. ხოლო საქმეს პოლონელებთან არავინ იჭერდა. ეს კიდევ არაფერი. რუსის მთავრობის დამხობას სცდილობდნენ, ამ მთავრობას-კი ეხმარებოდნენ მთიელებთან (ლეკებთან) ბრძოლის დროს (გიორგი ერისთავი). დააკვირდით ყველა ამას და აქაც საკვირველის სიცხოველით წარმოგიდგებათ სურათი ინტელიგენტურ ფუქსავატობისა და წინააღმდეგობისა, უაქმო ლაქლაქობისა, სურათთი ამასთანავე თავად-აზნაურულ უდარდელობა—დარდიმანდობის ფერადებით შემკული.

ასეთი იყო ხასიათი „შეთქმულობისა“ ქართველ „დეკაბრისტებისა“—დეკაბრისტებისა, რადგან, რუსეთის პირველ სარევოლიუციო მოძრაობის მსგავსად (1825 წ.), აქაც აჯანყება უნდა მოეხდინათ დეკემბერში. მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა. „შეთქმულნი“ გასცა ერთმა მათმა ამხანაგმა ისე ფალავანდიშვილმა. დაატუსაღეს ჩვენი „რევოლიუციონერები“ და ჩრდილოეთ გუბერნიებში გაგზავნ-გამოგზავნეს. აჯანყებული სინიდისი ისევ შებოჭეს. და ქართველ ინტელიგენტის გულში ისევ შიში კრძალვა და ორჭოფობა შეიპარა. იმედი ხსნისა დაიკარგა და ხელმეორედ იწყობა პროცესსი შეგუებისა და თავმდაბლობისა. სევდა და კაეშანი კი, ურვა და მწუხარება გულის სიღრმეში იმალება, თითქოს იფლება უძირო უფსკრულში. ვახტანგ ორბელიანი ამბობდა:

მაგრამ რისთვის და რად მინდა მის მოგონება,
რაც რომ ყოფილა წარსულა და აღარ იქნება,
რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკვნესებს და სულსა სტანჯავს...

და აკი მოახერხა ქართველმა ინტელიგენტმა, გულის კვნესა თითქოს გააყუჩა და სისტემად აღიარა ორ-აზროვნება და ორ-სახიერობა.

გრიგოლ ორბელიანიც სჩიოდა:

ან რაღას ველი სოფლისაგან, რა მიხარიან, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგი აღარა ვარ; ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყვარდა.
დღე ყოველი, ჟამი ყოველი მაკლებს რასმე კეთილსა,
ვჰმზერ მწუხარებით მომავალს და ვსწყევლი ფუჭად წარსულსა...

და აკი აქაც მოახერხა ქართველმა ინტელიგენტმა და აქაც მონახა მალამო, ერთგვარი ანესტეზია ტკივილისა. ეს მალამო არის ეროვნული ნიჰილიზმი, რომელიც ამა თუ იმ სახით იჩენდა ხოლმე თავს ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში და რომელსაც დღესაც აქვს გასავალი ქართველ ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებში.

**არჩილ ჯორჯაძე.**

1) ქრონოლოგია ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოცემისა აქამდის გამოურკვეველია. გრ. ყიფშიძის აზრით, პირველი გაზეთი იყო „საქართველოს გაზეთი“ 1817 წელს გამოსული. ზაქ. ჭიჭინაძის აზრით კი პირველი გაზეთი იყო „ქართული გაზეთი“ (1817—18) ხოლო „საქართველოს გაზეთი“ (1819—1820). 1821 წ. „ქართულ გაზეთს“ „წმინდა გიორგი“ ეწოდებია, რადგან გაზეთზე წმ. გიორგია დახატული. (იხ. ზ. ჭიჭინაძის „ისტორია ქართულის გაზეთების და ჟურნალების გამოცემისა“ და გრ. ყიფშიძის— Періодическая печать на Кавказѣ“).

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა.**

მეთვრამეტე სხდომაზე, 11 ნოემბერს, სახელმწიფო სათათბირომ განაგრძო განხილვა კანონ-პროექტისა ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის შესახებ. სიტყვები წარმოსთქვეს, სხვათა შორის, კადეტმა როდიჩევმა და მემარჯვენემ მარკოვმა მეორემ. ამ უკანასკნელმა მავნებლად სცნო რუსეთისთვის ახალი პროექტი, ხოლო პირველმა იმაზე მეტი მოითხოვა, რაც პროექტშია. მეინდორფმა, სხვათა შორის, სთქვა, იმ ადგილის მოსამართლეებს, სადაც სხვა ერი, არა რუსი, სცხოვრობს, უნდა მოეთხოვოთ, რომ ამ ერის ენა იცოდნენო. რა თქმა უნდა, ამ წინადადებას სათათბირო არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს. მემარჯვენე ორატორმა ბელოგუბოვმა განაცხადა, მე ვიცი, რომ ხელმწიფე იმპერატორი მომხრეა ეხლანდელ ვოლოსტის სასამართლოსი და თქვენი პროექტი არ გავაო.

**პოლონელების შეკითხვა.**

სალამოს სხდომაზე პოლონელებმა შეკითხვა შეიტანეს. შეკითხვა შეეხება მართლმადიდებელ სამღვდელოების მიერ პოლონელის ეკლესიის დასაკუთრებას და დაჩემებას. საქმე ასე ყოფილა. ოპელში ყოფილა რომის კათოლიკეთა ეკლესია. ეს ეკლესია, 1890 წელს რაღაც მიზეზით მთავრობას ძალით დაუკეტნია და მართლ-მადიდებელ სამღვდელოებისთვის გადაუცია, მაგრამ სამღვდელოებას ამით არ უსარგებლნია და ეკლესია დაკეტილი დაუტოვებია. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ კათოლიკე მრევლმა შუამდგომლობა აღძრა ეკლესიის დაბრუნების შესახებ. მთავრობას შეუთვლია, საქმე მაგ მდგომარეობაში მყოფ ეკლესიების შესახებ შეჩერებულია იმ დრომდე, ვიდრე სახელმწიფო სათათბირო თავის აზრს არ გამოსთქვამსო. მიუხედავად ასეთ პასუხისა, 1907 წელს 21 ნოემბერს ეკლესიაში მისულა მაზრის უფროსი 17 სტრაჟნიკით და 9 მღვდლით, ბეჭედი გაუტეხია, კარები გაუღია და უთქვამს, 1908 წელს 6 იანვარს მოვა ეპისკოპოსი და მართლ-მადიდებელთა წესზე ეკლესიას აკურთხებსო. მეორე დღეს ადგილობრივ მღვდელს გააუქმებია საკურთხეველი და, საზოგადოდ, გაუტანია ნივთები, რაც კათოლიკეთა ეკლესიაშია ხოლმე. ეს ამბავი ადგილობრივ კათოლიკეებს დეპეშით უცნობებიათ შინაგან საქმეთა მინისტრის და სინოდის ობერ-პროკურორისთვის:

ამათაც დეპეშითვე უბრძანებიათ სედლეცის გუბერნატორისთვის, ბოლო მოუღე ასეთ თვითნებობასაო. მაგრამ გუბერნატორს ყურადღება არ მიუქცევია ამ ბრძანებისთვის და ეკლესია უკურთხებიათ.

სათათბირომ შეკითხვა მიიღო, მხოლოდ ეპის. ევლოგიმ განაცხადა, შეკითხვაში აღნიშნული ამბები მართალი არ არისო. ვნახოთ, რას იტყვის მთავრობა ამ შეკითხვის შესახებ.

**შეკითხვა ნავთიან ადგილების გაცემის შესახებ.**

უფრო საინტერესო იყო მეორე შეკითხვა. როგორც ვიცით, ბაქოში ნავთიანი ადგილები საჯარო ვაჭრობით იძლევა. როგორც შეკითხვიდანა სჩანს, მთავრობას დაურღვევია 1900 წ. წესები და ექვსი ნავთიანი ადგილი ისე გაუცია, რომ საჯარო ვაჭრობა არ მოუხდენია. ერთი ადგილი გენერლისთვის მიუციათ, მეორე—ეგერმეისტრისთვის, მესამე — ობერ-ეგერმეისტრისთვის, მეოთხე—„კავკასიის ამხანაგობისთვის“ და ორის სომხების შხიანცისა და აბრიბიკოვისთვის.

ამ შეკითხვის გამო ილაპარაკა ვაჭრობის მინისტრმა. საინტერესო იყო იმისი პასუხი. ოთხი ადგილის გაცემის შესახებ მინისტრმა უკანონობა არა სცნო: ადგილები 1900 წელს საჯარო ვაჭრობით გაიცა და ეხლა მხოლოდ მოიჯარადრეების უფლებანი აღვადგინეთო. რაც შეეხება ორ ადგილს, რომელიც უვაჭროდ მიუციათ სენიავინისა და მამონტიევისთვის, ამ ადგილების გაცემა დაადასტურა ხელმწიფე იმპერატორმაო. ასე იმართლა თავი მინისტრმა, თუმცა იქვე დაუმატა, ამიერიდან თითონ ხელმწიფემ ბრძანა, ნავთიანი ადგილები, თუ არა საჯარო ვაჭრობით, ისე არავის მიეცესო. მინისტრმა ბევრი ილაპარაკა იმაზე, რომ ხელმწიფეს უფლება აქვს მოწყალება გაიღოს და ასეთი საქმე ჩაიდინოსო.

ამ სალამოს კამათი აღარა ყოფილა—სხდომა შესწყდა. სიტყვა წარმოსთქვა მხოლოდ ერთმა ორატორმა დმიტრიუკმა, რომელმაც გაჰკიცხა მთავრობა უკანონო მოქმედებისთვის.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთის გაზეთები ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ ფინლიანდიის საქმეებზე. შავრაზმელთა ბანაკი სიხარულშია—ფინლიანდიის სეიმი დაითხოვეს. დათხოვნამდე „ნოვოე ვრემია“ და მის მიერ სულ ჩადგმული სხვა მემარჯვენე გაზეთები ისეთ ჭორებს ავრცელებდნენ ფინლიანდიაზე, იმდენს სცრუობდნენ, რომ მათთვის თუ დაგვეჯერა, ფინლიანდიაში აქამდე აჯანყების ალი უნდა ავარდნილიყო და... ფინლიანდია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა გამოცხადებულიყო. ოქტომბრისტების ოფიციოზმა „გოლ. მოსკვიმ“ ხომ ბანი მისცა ამ კომპანიას. რუსეთი იღუპება, რუსის ხალხის ეროვნული

ინტერესები ფეხ-ქვეშ ითელება ფინლიანდიელთაგანაო, გაიძახიან ეს ვაჟბატონები.

„გოლოს მოსკვი“ ეხლა მემარცხენეებს დაეცა: „რეჩმა“ უღალატა რუსეთს, ნაციონალიზმი, რუსის ხალხის ინტერესები მსხვერპლად შესწირა მაღალ ლოზუნგების აღიარებასაო. „გოლოს მოსკვი“ ეხება გაზეთ „რეჩის“ მეთაურს.:

მოხდა მეორე სხდომა რუს-ფინლიანდიელთა იმ კომისიისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საერთო სახელმწიფოებრივ კანონმდებლობის წესრიგი. სამწუხაროდ, ამ სხდომამ გამოარკვია, რომ კომისიის რუსი წევრები სრულს შეურიგებლობას იჩენენ ფინლიანდიელთა მიმართ და ანგარიშს არ უწევენ მათ აზრსა და წინადადებას. სანამ გაზეთებში ფინლიანდიის საწინააღმდეგო წერილები იბეჭდებოდა, ფიქრობდით, რომ ნამდვილი სახელმწიფოებრივი შეხედულებანი გაიმარჯვებენ წინააღმდეგ რუს-ფიკატორობის ფანატიზმისა მაგრამ ეხლა ყვირალა ნაციონალიზმის პოლიტიკანებს შეუძლიანთ სრული გამარჯვება იდღესასწაულონ. ასი წლის წინად სახელმწიფოს სარგებლობას არა თხოულობდა, რომ ფინლიანდიის დაწესებულებანი დაჰქვემდებარებოდნენ საიმპერიო დაწესებულებებს. ეხლა კი, პოლიტიკანთა აზრით, ეს საჭიროა, ამას თხოულობს სახელმწიფოს სარგებლობაო.

ამასა სწერდა „რეჩი“ (1 ნოემბრის ნომერი). აღნიშნავდა, რომ კომისიის რუსი წევრნი, საიერიშო პოლიტიკას აწარმოებენ, არ უნდათ მოუსმინონ და ჩაუკვირდნენ ფინლიანდიელთა წინადადებას. თვით გენ.-გუბერნატორი ზეკმანიც იმ აზრისა იყო, რომ საჭიროა საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში ვიქონიოთ, თუ როგორ შეჰხედავენ ფინლიანდიელნი ამ ახალ წესებს, ხომ არ არღვევს ეს წესები იმათ უფლებებსაო. სახელმწიფოებრივი მოსაზრება ამას ათქმევინებდა ზეკმანს, მაგრამ „რუსეთის მხსნელნი“ აბა ვის დაუჯერებენ!

„გოლოს მოსკვის“ არ მოსწონს „რეჩის“ მეთაური. იგი ლანძღავს კადეტებს და გაიძახის:

შვიდი თვეა, რაც ფინლიანდიელთაგან შთაგონებულ პროგრესიულ პარტიის ლიდერები სცდილობენ ბავშურად გზა შეუკრან სახელმწ. სათათბიროში თავისუფალ წარმოშობილ ეროვნულ მოძრაობას, რომელიც კანონიერი რეაქციაა რევოლიუციის კოსმოპოლიტიზმისა. რევოლიუციას უნდოდა „ახალი სიტყვა“ ეთქვა მთელ მსოფლიოსთვის, მაგრამ იმის თქმაც ვერ მოახერხა, რაც დასავლეთში ამ ასი წლის წინად სთქვეს —„წესიერება“... შვიდმა თვემ და გაცხარებულმა პოლემიკამ პარტიისათვის უსარგებლოდ ჩაიარა. კადეტთა პარტია კვლავაც იმეორებს უცხოურად მაღალ მაღალ ლოზუნგებს და თანდათან ეფლობა პოლიტიკურ სექტანტობის ჭაობში“.

შემდეგ უკიჟინებს „რეჩს“: ნაციონალიზმი არა გწამს, რუსეთი არად მიგაჩნია, ფინლიანდია ცალკე სახელმწიფოდ გინდა გამოჰყოო. აი, რას ამბობს ოქტომბრისტთა ოფიციოზი.

ოქტომბრისტების გაზეთს ჰგონია, თითქო „რეჩი“ მართლა ძალიან შორს წასულიყოს. გაზეთს ავიწყდება, რომ „რეჩიც“ დიდს რადიკალობას არ იჩენს ამ საკითხში, რომ ეს გაზეთიც ოქტომბრისტების მიერ ყბად აღებულ მეთაურში ურჩევს ფინლიანდიელ წევრთ კომისიისა, „ზოგი მათ დაუთმონ, ზოგიც მთავრობამ და საქმე მშვიდობიანად გათავდებაო“.

ამ კამათის დროს ოქტომბრისტებმა ერთხელ კიდევ ნათელ ჰყვეს თავიანთი ვინაობა. ერთხელ კიდევ განაცხადეს რომ განაპირა ქვეყნების საკითხი მათთვის არ არსებობს. ეს ვაჟბატონები არც თვით რუსებისთვის იცხელებენ მაინცა და მაინც თავს და ამ სხვა ერებს რაღად ჩააგდებენ!..

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ნოემბერი.

### სპარსეთი

**თეირანი.** მეჯლისმა დაადასტურა აბიდულ-მულქის რეგენტად არჩევა.

### საზღვარ-გარედ

**პარიზი.** მაროკოს საკითხის შესახებ მსჯელობის დროს პიშონმა განაცხადა, ევროპამ ერთხმად მოიწონა ესპანიის მოქმედება მაროკოში; ესპანიასთან თანხმობა—საფუძველია მაროკოში საფრანგეთის პოლიტიკისაო. რაც შეეხება მაროკოს კომისიასთან მოლაპარაკებას, პიშონმა სთქვა: საფრანგეთი გაიყვანს თავის ჯარს შაუიდან, როცა მახზენის ჯარი წესიერებას უზრუნველჰყოფს. მთავრობა კაზაბლანკასა და ბუდენიბს მაროკოს კუთვნილებად სცნობსო. პიშონმა აღნიშნა შეღავათიანი პირობები საფრანგეთის მიერ მაროკოსათვის მიცემულ სესხისა, გერმანიის სამართლიანი მოქმედება და გამწვავებულ მდგომარეობის დაწყნარება. საფრანგეთი ერიდება იტალიით საქმეში გარევას და მზადაა მხარი დაუჭიროს მაზენს; თუ ეს უკანასკნელი ურჩობის გზას დაადგება, საფრანგეთი იძულებული გახდება, სხვა სახელმწიფოებთან ერთად ხელშეკრულობის დაცვა მოსთხოვოსო. შემდეგ მიღებულ იქმნა 12 მილ. კრედიტი მაროკოში საფრანგეთის მოქმედებისათვის.

**სან-პაოლო.** 10 ნოემბერს საღამოს ერთმა ანარქისტმა ყუმბარა ისროლა გერმანიის ქვეშევრდომის მაღაზიაში. გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც შეიძლება მთელი უბანი გაანადგუროს.

**ლონდონი.** რეიტერს აუწყებენ პეკინიდან, რომ იმპერატორის ბძანებით ჩჟილის ვიცე-კოროლი ტუანფანი დათხოვნილია სამსახურიდან და იმის ადგილზე დანიშნულია ხუტუანის ვიცე-კოროლი მანჯურელი ჩენ-გუილუნი. უკანასკნელი მტერია უცხოელებისა და ხალხში ცუდი სახელი აქვს გავარდნილი.

**ვენა.** უნაყოფოდ დარჩა პოლონელთა კლუბის მეთაურის სელომბინსკის მოლაპარაკება, რომელსაც საგნად ჰქონდა სლავიანთა კავშირზე გავლენა და საჩქარო წინადადებათა გადადება, რათა დროებითი ბიუჯეტის მიღება შესაძლო ყოფილიყო. მოლაპარაკება მაინც გაგრძელდება.

დეპუტატთა პალატამ გახაახლა მუშაობა და განიხილა საჩქარო წინადადებანი. როცა მინისტრები კრების დარბაზში გამოცხადდენ, რადიკალი ჩეხები მტრულად დაუხვდნენ. წესიერება აღდგენილ იქნა. მთავრობა შუამდგომლობს ბიუჯეტის მიღების შესახებ.

### რუსეთი

**ტაშკენტი.** გაზ. „ნა რუბეჟე“-ს რედაქტორს ოლქის სასამართლომ 500 მ. ჯარიმა დაადვა საინტენდანტოს შესახებ წერილის დაბეჭდვისათვის.

**ნოვოჩერკასკი.** დატუსაღებულია მეთაური ორგანიზაციისა, რომელიც მუქარის წერილებით ფულს სთხოვდა სოფლებში ცხენით მოვაჭრეებს.

**ვარშავა.** სამოსამართლო პალატაში გარჩეულ იქმნა საქმე მწერალ პშიბიშევსკისა და იმის ნაწერების ორ გამომცემელის შესახებ; იმათ ჰბრალდება ისტორიულ მოთხრობების დაბეჭდვა, რომელნიც მტრობას სთესენ ხალხის სხვა და სხვა ნაწილთა შორის.

**პეტერბურგი.** მიწათ-მოწყობის მთავარ სამმართველოს შეაქვს სათათბიროში კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ მას ნება მიეცეს თავისი უწყების სასწავლებლებში პოლონეთსა და ბალტიის მხარეში სწავლება ადგილობრივ ენებზე შემოიღოს.

ოფიციალურად გამოცხადებულია პროექტი ახალი საპენსიო წესდებისა სამხედრო პირთა შესახებ, რომლის შემოღება განზრახულია 1911 წ. 1 იანვრიდან.

მინისტრთა საბჭომ განიხილა და შეიტანა სათათბიროში კანონ-პროექტები: 1906 წ. 21 ოქტომბ. გამოცხადებულ დროებით წესების შეცვლისა და დამატების შესახებ. პროექტით ნება უნდა მიეცეთ სამაიორატო მამულების პატრონებს მიჰყიდონ ადგილები გლეხებს და საგლეხო ბანკებს.

უმაღლესმა საპრიზო სასამართლომ განიხილა ბრიტანიის ინდოეთის გემთა საზოგადოების საპელაციო საჩივარი იმ ზარალის შესახებ, რომელიც 1905 წ. რუსის კრეისერმა „ტერეკ“მა მიაყენა საზოგადოებას გემის „იიკონია“-ს დაღუპვით. საჩივარი მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ იქმნა.

17 ოქტომბრის კავშირს შეაქვს კანონ-პროექტი, რომლის ძალით ჟანდარმები პოლიტიკური საქმეების კვლევა-ძიების დროს უნდა სარგებლობდნენ საზოგადო პოლიციისათვის ამ საქმეში მინიჭებულ უფლებით, წინასწარი გამოძიება ყველა პოლიტიკურ საქმეებისა უნდა დაევალოს სასამართლოს უწყების მოხელეებს.

**ნოვოროსიისკი.** საღამოს 5 საათზე აქ მიწა იძრა.

**სიმფეროპოლი.** ნიაღვარმა წალეკა სადგური ბელბეკი და შეაჩერა მატარებლების მიმოსვლა. გამოწვეულია ჯარი ლოძისა და სევასტოპოლიდან მცხოვრებლებისა და მათი ქონების გადასარჩენად. ნიაღვარმა ძრიელ დაზარალა ახლო-მახლო სოფლები.

**ოდესა.** მანეჟის ქუჩაზე ერთი სახლის ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ჯოჯოხეთის მანქანა. პოლიციამ ააფეთქა მანქანა, რომელსაც რამდენიმე ზარბაზნის ძალა ჰქონდა. სახლის პატრონი ქალი დატუსაღებულია.

**პეტერბურგი.** დათხოვნილია სამსახურიდან თავის სურვილით ვაჭრობის მინისტრი ტიმირიაზევი.

# ბარათაშვილის ლირის მოტივები

(გრიგოლ რობაქიძის ლექციის გამო)

(შემდეგი *)

ჩემი მოსაზრება ნათელია: იმისდამიხედვით, გრძნობა არარაობისა ან ამაოებისა და ლტოლვა მარადისობისაკენ ყოველ ადამიანის არსში მარხია, თუ ის ადამიანი არა უმთავრესად გრძნეული, არამედ უწინარეს შემოქმედი, მოაზროვნე არის. მაგრამ არა მარტო შემოქმედი, უღრმესი მოაზროვნე უნდა იყოს ასეთი ადამიანი, არამედ ესევე ძლიერ უნდა მოქმედებდეს მასში გარე ბუნებრივი ელემენტი, გრძნება იგი უნდა იყოს ღრმა, ამოუშლელი. ერთის სიტყვით, ძლიერი გრძნება და შეუზღუდველი შემოქმედებითი და ამიტომ აბსოლუტური ელემენტი ადამიანში—აზრი,—და ის ორი ძალა, რომელთა ურთიერთობა აუცილებლად ჰქმნის ამაოების გრძნობის აღმოცენებას და მარადისობისაკენ ლტოლვას. გრძნება—გარე ბუნებრივი ელემენტი იწვევს ამაოების გრძნობას, რადგანაც იგი შებოჭავს, შემოფარგლავს აბსოლუტ ელემენტს, განუსაზღვრელ შემოქმედ გონებას, მაგრამ გონება მუდამ შემოქმედებს და, იხილავს რა ძლიერ გრძნებათა წინააღმდეგობას, მით უფრო ძლიერად, მით უფრო აშკარად თავისთვის აშკარად, შეუდრეკლად მისწრაფის მარადისობისაკენ.

ასე იბადება მისწრაფება მარადისობისაკენ. აქ, როგორც ჰხედავთ, გარემოს არავითარი გავლენა არა აქვს; აქ ყველაფერი ნათელია: მხოლოდ ფაქტი ორ მოწინააღმდეგე მიმდინარეობისა ჩვენს პსიხიკაში და ინტენსივობა პირველისა და მეორესი წარმოშვებენ შემცნობილ, გრძნობილ ტრაგიზმს გენიალურ ადამიანში. ისტორიულადაც შეგვიძლიან დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება. ავიღოთ თუნდ არტურ შოპენჰაუერი,—ეს უდიდებულესი მოძღვარი ევროპის პესიმიზმისა. იგი იყო ძალზე გრძნეული ადამიანი. ამას ამტკიცებს მისი ცნობილი ლექსი, ეს აბობოქრებული ზღვა იმის გრძნეულ გრძნობათა: O Sinne, o Hölle! და სხვა. და იგი იყო ძლიერ, შემოქმედ აზროვნების მატარებელი. Uelt als Uille und Uorstellung მოწამეა მისის შემოქმედებით გონების ძალისა. ამიტომაცაა, რომ შოპენჰაუერი აუცილებლად პესიმისტი იყო.

ავიღოთ ეხლა ჩვენი მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი. იმის პოეზიისათვის თავიდან ბოლომდე უმნიშვნელოა ის სოციალურ-პოლიტიკური უკუღმართობა, რომელსაც იმის დროს საქართველო განიცდიდა. იმის სულიერ დრამის ახსნისათვის სრულიად გამოუსადეგარია საქართველოს ეს უკუღმართი მდგომარეობა. იმის სულიერ დრამას ფარდასა ჰხდის მხოლოდ მისი სულის მიმდინარეობა. ნიკოლოზ ბარათაშვილის არსის აბსოლუტური მხარე, შემოქმედი გონება შეუდრეკელია, იგი სტიქიონურად ძლიერია, იგი ილტვის, რომ თვისი შემოქმედი სული, თავისი გონება **ქმნილ** აბსოლუტის მაგიერ **შექმნილ** აბსოლუტად აქციოს, მას სურს გონებით საჭვრეტი გახადოს განუსაზღვრელი. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილი იმავე დროს ძლიერ გრძნობათა მატარებელი ფენომენია,—მისი გრძნეული გრძნობანი ზღვის ტალღასავით შეუპოვარნი არიან. ისინი აკავშირებენ მას დროულთან, წარმავალთან, უცაბედთან, ნაცადთან და ამიტომ იმის შემოქმედს სულის აბსოლუტად ქმნის ლტოლვას შემოზღუდევენ, შემოსაზღვრავენ. აქ იბადება ბრძოლა ამ ორ მიმდინარეობის შორის იმის შინაგან არსში და აი სწორედ ეს ბრძოლაა შინაარსი მისის სულიერ დრამისა. იგი მჟღავნდება განსაკუთრებულის სიძლიერით შესანიშნავ „მერან“-ში, „შემოღამებაში მთაწმინდაზე“. მერანი ‒ეს მისი შემოქმედი, აბსოლუტური სულია. მერანის რბენა,—ამ სულის ლტოლვაა. დასრულებულ აბსოლუტად იქცეს. შავი ყორანი,—ის გრძნებანია, რომელნიც განუყრელად შეკავშირებიან იმის სულს, რომელნიც წარმოადგენენ გარე ბუნებრივ და ამიტომ დროულსა და წარმავალს ელემენტს. ბარათაშვილის შემოქმედი სული ებრძვის ამ უკანასკნელთ და ბარათაშვილიც თავის სიმპატიით თავის აბსოლუტურ ელემენტს უერთდება, თავის შემოქმედ სულს და სწყურის ამ ბრძოლაში ისი გამარჯვება. ამიტომ იგი ერთხელ და სამუდამოდ ეთხოვება თავის ძლიერ გრძნებათ და გრძნეულ გრძნობათ, თუმცა კი ჯავრობს, რომ ბრძოლის სხვაფერ გადაწყვეტა შეუძლებელი ხდება და „კვნესას გულისას“ შესწირავს იმ ძლიერ გრძნებათა გამომშვიდობებას. მას სწყინს თავის გრძნებათა დაკარგვა, მაგრამ არ შეუძლიან დაუმონავოს მათ თავისი აბსოლუტური სული: „თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი“,— ამბობს იგი და ამასთანავე მოგვითხრობს იმ ტკივილებს, რომელიც გამოუწვევია იმის არსებაში ბრძოლის ასეთ გადაწყვეტას. აქ არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ ამ ლექსის ზოგი ნაწილი, რომ აშკარად დავინახოთ, თუ რაოდენ ნათელსა ჰფენს მას ჩემი გაგება.

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე ჰსწორთა და მეგობარსა;
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა,..
ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის...

აქ მუდამ და ყველგან ჩვენ მხოლოდ გრძნეულ გრძნობებს ვპოვებთ და აი სწორედ მათ სტოვებს, მათ ემშვიდება ბარათაშვილი, როდესაც იგი თავის შემოქმედ და აბსოლუტურ სულის მხარეს იჭერს. მას სწამს, თუ რამდენად ძნელია სრული გამომშვიდება ადამიანის სულის გარე ბუნებრივ ელემენტთაგან, გრძნებათაგან,— მან იცის, რომ ყოველი ადამიანი ვერ გადიტანს ამ გამომშვიდობებას, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მას მაინც სწამს და სწყურია:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება!

ამიტომ ბარათაშვილი ოპტიმისტია და არა პესსიმისტი, როგორც ეს, სხვათა შორის, გერონტი ქიქოძესა ჰგონია. იმისთვის ადამიანის გააბსოლუტება, სულის ბატონობა, გრძნების აღკვეთა აშკარაა და სასურველი. „შემოღამება მთაწმინდაზე“ არა ნაკლების სიძლიერით გადმოგვცემს ბარათაშვილის იმავე სულის კვეთებასა, ბარათაშვილის იმავ ოპტიმისტობას. ამ ლექსში, საუკეთესოში მათ შორის, რაც ბარათაშვილს დაუწერია, დახატულია ნატურალურ-ესთეტიური და მისი გავლენა ადამიანის სულიერ დისპოზიციაზე. ბარათაშვილსა სწამს, რომ ესთეტიური დატკბობა ამაოების გრძნობას ასუსტებს, აქრობს, ისე, როგორც ეს შოპენჰაუერმა გამოსთქვა თავის ფილოსოფიურ სისტემაში.

ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა **ფიქრთ შვება**
არ იპოვოს და არ დახსნას გულსა ვაება!
გულ-ახურულთა მეგობარო, მთავ ლრუბლიანო!

თანამედროვე ესთეტიკაც იმ აზრისაა, რასაც აქ ბარათაშვილი ლამაზ ფორმებში ასხამს. ესთეტიური დატკბობა სწორედ მით არის ტკბობა, რომ აქ ადამიანი მაღლდება იმით, რომ სცილდება წუთისოფლის ჩვეულებრივ, ყოველ დღიურ ჭირ-ვარამს ზოგად ყოფას, ამაოებას. იგი მაღლდება, **უერთდება** განუსაზღვრელს და ამგვარად აბსოლუტდება. ჩემის შეხედულობით ეს გააბსოლუტება მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ესთეტიურ ტკბობის დროს მოქმედებს განსაკუთრებულს ძალით ადამიანის სულის შემოქმედებითი მხარე: ჩვენ უსულო მარმარილოდან გამოქანდაკებულ ტანსა **ქმნით** ცხოველ არსებად, ხმათა გროვასა-მგრძნობიარე სულის ვნებათა მხილებად. ესთეტიური ტკბობა იმით არის დატკბობა, რომ აქ ჩვენ შევმოქმედებთ და ამით მოკლე ხნით ვთავისუფლდებით გრძნეულ გრძნობათა მღელვარებისაგან. ასეთია ჩვენი შეხედულება და სწორედ ასე უნდა გვესმოდეს ბარათაშვილის „შემოღამებაც მთაწმინდაზე“. ბარათაშვილი ისწრაფის, თავისი შემოქმედი სული აბსოლუტად აქციოს. იგი ამიტომ სცდილობს, განშორდეს გრძნებათ და გრძნეულ გრძნობათ. მას სწყურიან სრული თავისუფლება სულისა, მისი **განმარტოება** გარე ბუნებრივ ელემენტთაგან, გრძნებათაგან. ამ თავისუფლებას თავის შემოქმედ სულისას, ამ განმარტოებას აძიებს იგი „მერანში“ მერანის ლტოლვაში, სულის შემოქმედების მის პასსივობასთან ბრძოლაში. თავის „შემოღამებაში მთაწმინდაზე იგი სხვა გზას ჰპოულობს: განთავისუფლებას სულისას გრძნეულ გრძნობათაგან ჰპოვებს იგი აქ ესთეტიურ დატკბობაში. უკანასკნელი გზა უფრო მართალი აღმოჩნდება, იგი ავლინებს მას „შვებას შავ ფიქრთა“, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წუთით; ეს შვება ძალიან დღე მოკლე აღმოჩნდება. მაგრამ თუნდ დღე-მოკლე იყოს იგი, მნიშვნელობა მისი მაინც დიადია. იგი მოწამეა იმისა, რომ ასეთი განთავისუფლება. განმარტოება შემოქმედ სულისა ამაო გრძნებათაგან—პრინციპიალურად შესაძლებელი ყოფილა, და ამიტომ იგი ოპტიმისტურ აღფრთოვანებით მიმართავს საღამოს „ტურფას, საამოს“:

მწუხრი გულისა—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა, მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს.

ამიტომ ბარათაშვილი, ამაოების მქადაგებელი და მარადისობისაკენ მლტოლველი, ოპტიმისტურად ჰგრძნობს, და ამით მისი მსოფლ-მხედველობა უფრო კონსექვენტურია, ვიდრე მსოფლ-მხედველობა შოპენჰაუერისა. შოპენჰაუარი ხშირად ეწინააღმდეგება თავის ფილოსოფიურ პრინციპებს, თუმცა იგი ამას ვერა ჰგრძნობს. ასეთი წინააღმდეგობაა მისი მოძღვრება ესთეტიურ ტკბობის გავლენით „სიცოცხლისადმი ნების“ აღკვეცის შესახებ. ეს მოძღვრება ძირიანად ეწინააღმდეგება იმის უსაზღვრო პესსიმიზმს.

ამგვარად, ბარათაშვილის სული ესთეტიურ ტკბობის დროს ჰპოვებს განმარტოებას გრძნეულ გრძნობათა ღელვისაგან, და სწორედ ასე უნდა გვესმოდეს განმარტოების პრობლემა საზოგადოდ და კერძოდ ბარათაშვილის პოეზიაში და არა ისე, როგორც ეს გრ. რობაქიძემ დაგვიხატა თავის წარმტაც ლექციაში.

ბარათაშვილი ჰპოულობს „შვებას სულისას“ დროულ, სოფლიურ ელემენტთაგან, გრძნებათაგან და სწყურის შემოქმედ სულს, ან ადვილ აბსოლუტად ქმნილს, გამოხატულება მისცეს და აგებს ტაძარს, რომელიც მას თავისუფალი ჰგონია ყოველ სოფლიურიდან, დროულიდან, მაგრამ სოფლიური ელემენტი, გრძნება ადამიანის სულს მაინც ვერა სცილდება და იგი აქაც მძლავრად ლაპარაკობს. „შვება სულისა“ წუთი არი ან ამაო აღმოჩნდება, და ტაძარი ინგრევა, ინსხვრევა. თავშესაფარი სულისა გრძნებათაგან — შეუძლებელი აღმოჩნდა. „მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს“. — ასეთია ის მოტივები, რომელთაც წარმოშვეს ბარათაშვილის „ვპოვე ტაძარი“.

ამ მცირე შენიშვნით ვაბოლოვებ ჩემს წერილს. ჩემს შეხედულებას, როგორც მკითხველი ჰხედავს, სრულიად განკერძოებული ადგილი უჭირავს. მე, რასაკვირველია, არ მინდა ვთქვა, თითქოს ბარათაშვილის პოეზიის მოტივები მხოლოდ ნათქვამით ისაზღვრებოდნენ. მე აქ შევეხე მხოლოდ ერთ უმნიშვნელოვანეს მოტივს ბარათაშვილის პოეზიისას. იგი ძლიერად ამეტყველებს ბარათაშვილის მუზას. იგი ბრძოლაა შემოქმედ და ამიტომ უსაზღვრო სულის ელემენტის—გონებასა და გარე ბუნებრივ და ამიტომ შეზღუდულ, დროულ ელემენტის— გრძნებათა სამეფოს შორის. მაგრამ არა მარტო ბარათაშვილს ამეტყველებს ეს ბრძოლა. იგი ამოქმედებს მთელ კაცობრიობას, როგორც ერთეულს, და მთელი მსოფლიო ისტორია რაა, თუ არ მხილება ამ ბრძოლისა, ხოლო ფართოდ აღებულის,— ბრძოლისა კაცობრიობის სულსა და გარეშე ბუნებას შორის! რაა შინაარსი მსოფლიო კულტურის ისტორიისა, თუ არა ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა ამ ბრძოლისა? რაა პროგრესი, თუ არა თანდათანობითი გამარჯვება შემოქმედ სულისა, თუ არ მისი განმარტოება შემზღუდველ, შემბოჭავ გრძნებათაგან?! **დ. უზნაძე.**

*) იხ. „დროება“ N 252.

# მოწერილი ამბები

**ს. ძევერა.** (გორის მაზრა). ვერა და ვერ იქნა, უბედურობას ვერ აართვა თავი ჩვენმა გლეხმა. ყოველთვის იგი საწყალი ფერია. ის კი თავ-ჩაქინდრული ჩაჰკირკიტებს მიწას, ცხრა ნაირად აბრუნ-ატრიალებს იმის გულს, უწყალოს თავის ოფლით რწყავს, ხრიოკ უნაყოფო ადგილებს ანაყოფიერებს, შრომობს, წელებზე ფეხს იდგამს, მშიერ-მწყურვალი დღე-დამეს ასწორებს, სანამ სიკვდილი არ მიუკაკუნებს კარებს.

ჩვენი სოფელი ამ ჟამად ძალიან შევიწროვებულია მამასახლისის ა. სანაყოშვილისაგან, ნამდვილი თვითმპყრობელია ეს ვაჟბატონი. რასაც კიბრძანებს —ყველაფერი უნდა უსიტყვოდ აასრულო, თორემ ცუდს დღეს დაგაყენებს. დღეს აქ სხვა და სხვა დარჩენილი გადასახადები იკრიბება. რასაკვირველია, ყველაზე არ არის დარჩენილი „ნედოიმკები“. შეძლებული თავის დროზე იხდის. ეს ვაჟბატონი კი ყველას ერთ ტაფაში სწვავს, ყველას ვალს ადებს, ყველასაგან თხოულობს ფულს. ზოგს 5-6 თუმანს სთხოვს გადასახადს. ბევრი ხაზინაში მიღებულ კვიტანციებს აჩვენებს—აია და ამ წლის გადახდილი გვაქვსო, მაგრამ ამაოდ. „მე არაფერი არ ვიცი, ჩქარა ფულიო“, გაიძახის იგი.

ხეირს არ აყრის დამის ყარაულებსაც. დამეში 5-6 კაცი ყარაულობს სოფელს. მამასახლისი თვალ-ყურს ადევნებს მათ სადმე დობიდან და ყარაული დაჯდება ან წამოწვება თუ არა, თავს დაადგება, თქვენ გძინავთ, არა ყარაულობთ ხეირიანათაო და ორიოდე მათრახს მაგრა გადუჭერს. ხშირად ჯარიმასაც წამოადებს.

უთვალავი მოსავალი წახდა წელს. „ამისთანა მოუსავლობას ჯერ არ მოვსწრებივარ“, ამბობენ გლეხები. ნაკლების ძლიერ საქონლის საკვებიც, მაგრამ ყველა თავისას ითხოვს. ამ უკანასკნელთა რიცხვშია ადგილობრივი მღვდელიც. **ს. გძელიშვილი.**

---

**არმავირი** (ყუბანის ოლქი). არმავირი უმდიდრესი ქალაქია ყუბანის ოლქში. ვაჭრობა და აღებ-მიცემობა არმავირში დუღს და გადმოდის. ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, როგორც ყველგან, აქაც სომხების ხელშია. დიდი მაღაზიები სულ სომხებს ეკუთვნით.

არმავირში ქართველობაც არის, მაგრამ ქართველების ვაჭრობა კუს ნაბიჯით მიდოდავს. აქაურ ქართველების უმრავლესობა შესწავლია არყის სმას. დღე-მუდამ ლოთობაში არიან. რამდენიმე ქართველი კარგა დაწინაურებულა ნივთიერად, მაგრამ ამათი რიცხვი ძლიერ მცირეა. ამათაც, ამ შეძლებულთ იმდენად დავიწყებიათ თავიანთი სამშობლო ქვეყანა, რომ მისი აღარაფერი აღარ აინტერესებთ. როდესაც რამე საერთო საქმეზე ფული იკრიბება, ყველგან, სადაც კი ქართველები არიან, სცდილობენ, თავიანთის წვლილის გამოღებას, არმავირში კი თითსაც არავინ გაანძრევს ხოლმე. შეიკრიბა ილიას და აკაკის ფონდები, მაგრამ აქაურ მდიდარ ქართველებს გროში-კაპეიკი არ გაუღიათ. ასე გასინჯეთ, ამდენა ქართველობას ქართული გაზეთებიც კი არ მოსდით.

ბევრს ქართველს სახლებიცა აქვს. ასეთია, მაგალითად, ჭელიძე (რაჭველია. წინად მადერის ქარხანაში მუშად იყო). დიდი შეძლების პატრონია, აქვს სახლები და ორი ქარხანა, ერთი ლუდის, მეორე—შუშის. ამას აუშენებია სკოლა აქაურებისთვის. ქლენტს აქვს აქ საუკეთესო სტამბა და გამოცემულია გაზეთ „კავკასკი კრაი“. ქლენტს დიდი ნდობა და სიყვარული მოუპოვებია აქაურ საზოგადოებაში. კარგი შეძლების პატრონია აგრეთვე ჯიხაძე, რომელსაც ორი სახლი აქვს. კიკნაძეს არმავირის სადგურის ბუფეტი

უჭირავს. აქვს სახლი. კაიმაურსაც აქვს სახლი, ქედებით ვაჭრობს. შეძლებულები არიან აგრეთვე ქინქლაძე, მაისურაძე, კირვალიძე.

ეს წერილი დაწერილი მქონდა, რომ ქუჩაში შემთხვევით შემხვდნენ გორელი გლეხები, არმავირ-თუაფსეს რკინის გზაზე სამუშაოდ ჩამოსულები. დიდ გაჭირვებაში იყვნენ საწყლები, რადგან სამუშაო ვერ ეშოვნათ. უკან წამოსასვლელი ფული აღარა ჰქონდათ. ბევრი მუშა ხელი მოაწყდა ყოველ კუთხიდან არმავირ-თუაფსეს გზას, მაგრამ გაჭირვებაში ვარდებიან და ისევე უკან დაბრუნება უხდებათ, რადგან მეტი ხამუშაოს ვერ შოულობს. ვურჩევ ქართველ ხალხს, ამ გზის იმედით სამუშაოდ ნუ წამოვლენ, რადგან გაზაფხულამდი მუშაობა არ იქნება. აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ ჩვენს ხალხს ცუდი თვალით უყურებენ ადგილობრივი მუშები. **პ. ქ.**

---

**ს. თერჯოლა** (შორაპნის მაზრა). რაც ხანი გადის, უფრო მრავლდება ქურდობა. შარშან ოქტომბერში აქ გაჰქურდეს აზნ. კარპენ მაჭავარიანი. წაიღეს თეთრეული და დანა-ხანჯლიც-კი. წელს იგივე მაჭავარიანი კიდევ გაქურდეს. მოიპარეს კარგი ჯიშის ბატები, კვლავ თეთრეული და სხვა. ოთხ ოქტომბერს გაჰქურდეს ამავე სოფელში—წერეთელი ვარდენ. ამავე რიცხვებში გაჰქურდეს ტარიელ ცხადაძე. შემდეგ გლეხის ბესარიონ ბუცხრიკიძისას შეიდნენ ქურდები, წაართვეს ცხვრები და ინდოურები. ერთ ცხვარს იქვე თავი მოსჭრეს. თავი და ფეხები პატრონს დაუტოვეს, სხვა-კი წაიღეს. ათ ამა ოქტომბერს გლეხი ჯიმიაშვილი გაჰქურდეს და რაც რამ გააჩნდა—ქვეშაგები, ლოგინი, ტანისამოსი და სხვა—წაიღეს.

15 ოქტომბერს შეიპყრეს მამასახლისის თანაშემწე მაკარიძე, რომელსაც ქურდობა განეზრახა. მაკირიძე მიგიდა საქურდლად მეზობელ ნემსაძისას. ქალმა ავირილი მორთო. შეიკრიბა ქალი და კაცი. დაედევნენ ქურდს, მაგრამ მან რევოლვერის სროლა დაიწყო და გაიქცა. ბოლოს ქურდი, მამასახლისის თანაშემწე, დაიჭირეს და წარუდგინეს ადგილობრივ ბოქაულს. 18 ოქტომბერს სქარას სოფელში დაეცნენ აზნაურს ჩხეიძეს. წაართვეს 33 მანეთი, ახალუხი და სხვა ნივთები. ერთი ქურდი დევდარიანი დაიჭირეს.

აი, ასეა ჩვენსკენ ქურდობა გავრცელებული. ჩხარის ბოქაული ასათიანი მხნედ შეუდგა ქურდობის აღმოფხვრას. მან დაიბარა მამასახლისი და მისი თანაშემწენი და ხევისთავები, ამორჩეული საზოგადოების მიერ, ას კაცამდის და დაავალა, უსათუოდ ეცადნენ ქურდების აღმოჩენას. ზოგიერთი ქურდი კიდეც აღმოაჩინეს. **თერჯოლელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**თათრული წარმოდგენები.** შარშან შემთხვევა გვქონდა გაზეთ „ისარის" ფურცლებზე აღგვენიშნა ის კულტურული მუშაობა, რომელმაც უკვე ღირსეული ნაყოფი გამოიღო თათართა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რომელიც სწრაფის ნაბიჯით მიაქანებს ჩვენს მეზობლებს თვით-შეგნების გზაზე. მაჰმადიანების გამოფხიზლება, ვფიქრობთ, ეამება ყველა იმ არა მაჰმადიანს, ვისაც სწამს, რომ ჩვენ მხარეში მეზობლად მცხოვრებ სხვა და სხვა ერის შეთანხმებული, სოლიდარული განწყობილება, დაამკვიდრებს საუკეთესო საერთო-საზოგადოებრივ ცხოვრებას და ერთა შორის სოლიდარობის გასამტკიცებლად ხომ საუკეთესო საშუალებად უნდა ჩაითვალოს კულტურის ყოველგვარ დარგის განვითარება, ვინაიდან შეგნებულ-განათლებულ ადამიანთან უფრო ადვილი და სასურველია ყოველგვარ საქმის დაჭერა, ვიდრე შეუგნებელთან.

აქაურ ერთ-ერთ თათრულ წარმოდგენაზე დამსწრე ბაქოელი მაჰმადიანი გულწრფელად გვეუბნებოდა, რომ ძმური განწყობილება უნდა იყოს კავკასიის ერებს შორისო და მადლობის გრძნობით იხსენიებდა აკაკის სიტყვებს, წარმოთქმულს ბაქოში გამართულ საიუბილეო სალამოზე, რომ „წინად თუ ჩვენ შორის ხმალი იყო მოციქული, ეხლა ძმური ხელი და სოლიდარულად მოქმედება უნდა იყოს საწინდარი ჩვენის საერთო კეთილდღეობისაო".

დიახ, ვინც დაჰკვირდება, ის დარწმუნდებოდა, რომ თათართა მცირე რიცხოვანი ინტელიგენცია თავგამოდებით მუშაობს თვითშეგნების შესატანად თანმემამულეთა შორის და უკანასკნელნიც ხალისით და ნდობით მისდევენ თავიანთ კულტურ-ტრეგერებს.

ერთ-ერთ ასეთ კულტურულ დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს ახლად აღორძინებული თათრული თეატრი. ორიოდე წლის კულტურულ მუშაობას და სპარს-ოსმალთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, ეტყობა, დიდი გავლენა ჰქონია ჩვენ მეზობლებზე: თუმცა წელს წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდნენ უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივი სცენის მოყვარენი, მაინც საზოგადოება ბევრად მეტი ესწრებოდა, ვიდრე შარშან და შარშანწინ თათრულ წარმოდგენებს, გამართულს ისეთ ცნობილ მსახიობის მიერ, როგორიც არის ბ-ნი არაბლინსკი. მართალია, ეხლანდელი მათი დრამატიული ნაწარმოები ძალიან მოიკოჭლებს ხელოვნების მხრივ და დრამების ამსრულებელთა უმრავლესობასაც თავისებურად ესმის ტიპების გაპიროვნება, მაგრამ ჩვენ შარშანაცა ვთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ მელპომენა თათრების სულ ახალი სტუმარია და დღევანდელი დღე ისეთივე ახალი ხანაა მათთვის, როგორიც იყო ჩვენთვის, ამ სამოციოდე წლის წინად, გ. ერისთავის დრო.

წარმოდგენაში მონაწილეთა უმრავლესობას თუმცა სცენის მოყვარენი შეადგენდნენ, მაგრამ რომ გენახათ, გაგიკვირდებოდათ მათი მწყობრი, ხალისიანი თამაში.

ალსანიშნავია ერთი გარემოებაც. ჩვენებურ ისტორიულ დრამებში, თუ ტიპად თათარია გამოყვანილი, მას უსათოოდ ათასი ბიწიერება აქვს მიწერილი. თათრულ ისტორიულ დრამაში „ნადირ-შაჰ"-ში, რომელიც ექვს ნოემბერს იქმნა წარმოდგენილი, ქართველის ტიპი—გიურჯი-ბეგი, პატიოსან, გაბედულ, მართლის მთქმელ და თავდადებულ გმირად არის დახასიათებული. დამსწრე საზოგადოებამაც რამდენჯერმე ტაშით გამოიწვია „გიურჯი" (ქართველი) თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქონიონ ქართველმა დრამატურგებმა.

„ნადირ-შაჰ"-ში ერთად-ერთი ქალის როლი იყო და იმასაც ასრულებდა თათრულის მცოდნე რუსი მანდილოსანი ბ-ნი შატინოვისა.

თათრულ წარმოდგენებზე დამსწრეს უნებლიეთ თვალში ეჩხირება ერთი დიდი ნაკლი—ქალების დაუსწრებლობა. ეს არის მიზეზი, რომ ანტრაქტების დროს დამსწრეთა შორის დიდი უხალისობა და მოწყენილობაა. ამ წარმოდგენებზე დამსწრე ადვილად დარწმუნდება, რომ საზოგადოდ ქალი ისეთი მტერ-მოყვარე ელემენტია, ურომლისოდაც კაცის ცხოვრებას შნო არა აქვს... **გ. ახალციხელი.**

---

**დრამატიული საზოგადოება.** დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელ თავის სხდომაზე მსჯელობა იქონია იმ უთანხმოების შესახებ, რომელიც ჩამოვარდა ქართულ სექციასა და ახლად დაარსებულ წრის შორის და დაადგინა უთანხმოების მოსპობა და მორიგება. გამგეობამ ეს საქმე მიანდო ი. გომართელს. თანახმად ქალაქის გამგეობის წინადადებისა, სახალხო სახლთან არსებულ ქალაქის კომისიაში თავის წარმომადგენლად გამგეობამ აარჩია ა. ი. ნანობაშვილი. შემდეგ გამგეობამ მოისმინა მოხსენება საზოგადოების ბიბლიოთეკის სიღარიბეზე და დაადგინა: გადასდოს თანხა ხელთნაწერ და ნაბეჭდ პიესების შესაძენად; შეიძინოს ბოლო დროს გამოცემული სასცენო ხელოვნების შესახებ წიგნები და გამოიწეროს სათეატრო ჟურნალები.

# მ. ი. ტიმჩენკო-რუბანის

**25 წლის იუბილეის გამო.**

25 წელიწადზე მეტია, რაც ქუთაისში ყველასაგან ცნობილი ქ-ნი მარიამ ივანეს ასული ტიმჩენკო-რუბანი ითვლება ადგილობრივ ქალთა უფასო სკოლის უფროსად, სულის ჩამდგმელად. ამ ხნის განმავლობაში მას ადვილად შეეძლო რომელსამე ქალთა გიმნაზიაში ან ინსტიტუტში ეშოვნა უფროსის ადგილი, დაემსახურებინა დიდი სახელი, პენსია, ჯილდოები და ნივთიერის მხრით უზრუნველ ეყო თავისი ცხოვრება, მაგრამ მას გულით უყვარს ჩვენი ქალაქი, უყვარს ჩვენი საზოგადოება, თუმცა თვითონ სხვა ტომისაა, არა ადგილობრივი მკვიდრია, და თავისი სახელი, ნივთიერი კეთილდღეობა სხვერპლად შესწირა ამ საზოგადოების სამსახურს საპედაგოგო ასპარეზზე. მისი დაუღალავ შრომისა და მხნეობის წყალობით სრულიად არაფრის მქონე სკოლამ შეიძინა საკუთარი ადგილი და ააგო ზედ ძვირფასი, ლამაზი სასკოლე შენობა კოხტა ბაღით, რომელიც ბოლოს ქალაქის თვითმართველობის საკუთრებად უნდა გახდეს. სწავლის საქმე სკოლაში ჩინებულად არის დაყენებული.

დიდი დავწლი მიუძღვის მ. ი. ტიმჩენკო-რუბანს ჩვენის საზოგადოების განსაკუთრებით უღარიბეს ნაწილის ასულთა აღზრდისა და კეთილ გზაზე დაყენებაში. ის იყო და არის დედა, მეგობარი და აღმზრდელი თავის მოწაფეებისა. იმის მიერ აღზრდილა არა ერთი და ორი მანდილოსანი გამხდარა ნამდვილ დედად, კარგ მეოჯახედ და ასცდენია გადაგვარების გზას.

დიდი დანაშაული იქმნება, რომ ჩვენმა გულუხვობით ცნობილმა საზოგადოებამ ყურადღება არ მიაქციოს ამ იშვიათი ღირსებებით შემკულს მოღვაწე მანდილოსანს და შეძლების დაგვარად არ დააფასოს მისი ხანგძლივი სამაგალითო, უანგარო სამსახური.

ამიტომ ქუთაისის ქალთა ჯგუფს კერძო თათბირის მონდობილობით უმორჩილესად ვთხოვთ ქ-ნი მ. ი. ტიმჩენკო-რუბანის პატივისმცემლთ, მობრძანდნენ ქუთაისის ქალაქის გამგეობის დარბაზში 15 ამა ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ როგორ აღვნიშნოთ ქ-ნი ტიმჩენკო-რუბანის 25 წლის მოღვაწეობა.

ქალთა ჯგუფის მონდობილობით

**ა. ბ. ლორთქიფანიძისა.**

# სპარსეთის ამბები

**ბრძოლა ზენჯანთან.**

გუშინაც ვწერდით, რომ თეირანიდან არდებილს მიმავალი რაზმი ზენჯანში გაჩერდა, შეებრძოლა მეამბოხეთ და გაუდევნა იგინიო. ეხლა ბაქოს გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ თეირანიდან, რომ ბრძოლამ თერთმეტ საათს გასტანა, დიდი ბრძოლა იყო. მთავრობის ჯარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვაო. მეამბოხეების ბანაკიდან დაატყვევეს 300 კაცი. მთავრობის ჯარს მოუკლეს 9 კაცი.

**შინაური მდგომარეობა.**

სპარსეთის მთავრობისა და მეჯლისის წინაშე ბევრი ფრიად მწვავე საკითხებია გადასაწყვეტი. შესძლებს თუ არა მეჯლისი ამ მდგომარეობიდან გამარჯვებით გამოსვლას, დაამშვიდებს სპარსეთის აბობოქრებულ ცხოვრებას, ჩააქრობს მეამბოხეებს და ქვეყანას კულტურულ აღორძინებასა და პროგრესის გზაზე დააყენებს—აი კითხვა, რომელიც ყველას ებადებოდა მეჯლისის გახსნის დროს. საქმე იმაშია, რომ ადმინისტრატიულად და ფინანსიურად სპარსეთი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. დიდი მხნეობაა საჭირო, დიდი სახელმწიფოებრივი ნიჭი, რომ დღევანდელს მდგომარეობას სძლიოს ახალმა მთავრობამ. ერთ მწვავე საკითხად ითვლება სამხედრო ძალის მდგომარეობა. დღეს მთავარ სემხედრო ძალას ფიდაები წარმოადგენენ. ფიდაებმა (რევოლიუციონერებმა) უკვე დიდი სამსახური გაუწიეს სპარსეთს—თავის სისხლით მოუპოვეს თავისუფლება, მაგრამ დღეს, როდესაც მტერი მიწასთან განთხეულია და განაპირა ადგილებში თუ წამოჰყოფენ ხოლმე ფეხს ახალი წესწყობილების წინააღმდეგნი და როდესაც საჭიროა კულტურული მუშაობა, სახელმწიფოებრივ შენობის განმტკიცება—ფიდაების სამსახური საჭირო აღარ არის. გაზეთების სიტყვით, კავკასიელ ფიდაების ქართველებისა და სომხების ნაწილი უკვე დანიშნეს პოლიციის სხვა და სხვა სამსახურში, ზოგიც სამშობლოში გაისტუმრეს. მაგრამ ადერბეიჯანის ფიდაები არ აპირობენ დაშლას და თხოულობენ, რა იქნა, რაში დაიხარჯა ის ფული, რომელიც ძველი წესწყობილების დამარცხებისათვის გროვდებოდა ხალხშიო. არა ნაკლებ სერიოზულია საკითხი რუსეთის ჯარის სპარსეთში ყოფნა. სპარსეთის ნაციონალისტები (მთავარი პარტია, რომელიც იბრძოდა თავისუფლებისათვის) წინააღმდეგნი არიან რუსეთის გავლენისა და ყველა იმისა, რასაც რუსული ელფერი აქვს. მაგრამ, „ფრანკფურტი ცაიტუნგ."-ის სიტყვით, მთავრობა იმ აზრისაა, რომ ურუსეთოდ სპარსეთში არაფრის გაკეთება არ შეიძლებაო. ამ ჟამად მოლაპარაკებაც არის გამართული რუსეთთან სესხის აღების შესახებ. ჯერხნობით სპარსეთი მხოლოდ 6 მილიონ მანეთს სესხსა თხოულობს. ამ ფულით გაუძღვება ყველა აუცილებელ საჭიროებას და მომავალში კი სხვა უფრო დიდი სესხის აღებისათვის მიჰმართავს რუსეთსაო.

საზოგადოთ დღეს სპარსეთი მეტად ძნელ პირობებშია. ძველმა მთავრობამ, იმისმა ღრმულობამ და უნიჭობამ დასცა სპარსეთი ეკონომიურადაც. ძველ წეს-წყობილებასთან ერთად გაუქმდა ადმინისტრატიული წესი და ეხლა დიდი მუშაობაა საჭირო. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ახალ წეს-წყობილების გამარჯვებამ აღაფრთოვანა ხალხი და მუშაობა სამშობლოს კეთილდღეობისათვის უფრო ნაყოფიერი იქნება.

**სპარსეთის მთავრობის პროტესტი.**

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ სავსებით არ გადმოგვცა ის, რაც სეპეხდარმა წარმოსთქვა მეჯლისის გახსნის დღეს. როგორც უცხოეთის გაზეთები გადმოგვცემენ, დეპეშათა სააგენტოს სწორედ ის გადმოუცია, რაც შეეხებოდა უცხოეთის ჯარის ყოფნას სპარსეთის ტერიტორიაზე. სეპეხდარს სეფე სიტყვის წაკითხვის დროს ხაზ-გასმით უთქვამს: უცხოეთის ჯარის ყოფნა სპარსეთში არა სასურველიაო და დიპლომატიურ მოლაპარაკების საშუალებით ვეცდებით ეს ჯარი გავიყვანოთ სპარსეთიდანაო. ბერლინის გაზეთები აღტაცებით სწერენ, სპარსეთის მთავრობამ პროტესტი განაცხადა რუსის ჯარის სპარსეთში შეყვანის წინააღმდეგო. „ბერლინ. ტაგებლატ"-ი სწერს, რომ სპარსეთს ალბად აზრადა აქვს უცხო სახელმწიფოებს მიმართოს და სთხოვოს რუსის ჯარის გაყვანაზეო. სპარსეთის მოთხოვნილების სამართლიანობა გაზეთის აზრით, იმითაც მტკიცდება, რომ თითონ მთავრობამ თეირანიდან ძლიერი ჯარი გაგზავნა არდებილისაკენ. ეს ჯარი ბოლოს მოუღებს ავაზაკთა თარეშს და მშვიდობიანობას დაამყარებსო.

# უცხოეთი

**აჯანყება კორეაში.**

კორეაში პარტიზანული ბრძოლა დაიწყო. იაპონია ჯარებსა ჰგზავნის ცუდად ადგილებში. კორეის სამხრეთ ნაწილისაკენ გაგზავნეს ჟანდარმთა ძლიერი რაზმი.

**ინგლის ს ლორდთა პალატა**

3 ნოემბრის სხდომაზე ინგლისის ბიუჯეტის ბედ-იღბალი გადაწყდა. ოპოზიციის ლიდერმა ლენსდუნმა აშკარად განაცხადა, ლორდთა პალატაში განვცხადებას შევიტან, რომ სანამდის ბიუჯეტს მივიღებდეთ, უნდა გავიგოთ ხალხის აზრი ამის შესახებაო. ყველა დარწმუნებულია, რომ ლორდთა პალატა არ დაამტკიცებს ბიუჯეტს და უკანვე დაუბრუნებს ქვედა პალატას. ამბობენ, რომ მთავრობა მიიღებს ლორდთა პალატის გამოწვევას. სამობოოთ დაითხოვენ ქვედა პალატას, ახალ არჩევნებს დანიშნავენო. კონსერვატორთა და ლიბერალთა გაზეთები უკვე ფაქტად აღიარებენ ბიუჯეტის შეუწყნარებლობას და თავის მოსაზრებებს გამოსთქვამენ. კონსერვატიული გაზეთები ხელს აფარებენ ატეხილ ბრძოლის კონსტიტუციონურ მნიშვნელობას. ბიუჯეტი მეტად რევოლუციონერია და ლორდთა პალატა სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო და უნდა უთუოდ უარეყო ბიუჯეტიო. ლორდთა პალატის საქციელი დემოკრატიულია იმას არ შეუძლიან მიიღოს ეს სრულიად ახალი რამ, სანამ არ დაეკითხება ხალხს და იმის სურვილს არ გაიგებს. „დღეს სწორედ ლორდები არიან ხალხის უფლებათა ჭეშმარიტი დამცველებიო" ამაუად გაიძახის „სტანდარტ"-ი. ლიბერალები წინააღმდეგ კონსერვატორებისა მაღლა აფრიალებენ კონსტიტუციონურ დროშას და ბრძოლას კონსტიტუციონურ ელფერს აძლევენ. ლიბერალური „დეილ-ნიუს ი სწერს—მთავრობას ერთად ერთი პასუხი აქვს—იბრძოლოს სიკვდილ-სიცოცხლისათვის. საადგილ-მამულო და სასმელებზე გადასახადის ბედ იღბალი, აგრეთვე თვით ლიბერალურ პარტიის ბედ-იღბალიც ამ ხანად ნაკლებ საინტერესოა. ეხლა საჭიროა დაიცვათ ხალხის ძირითადი უფლებანი, კომპრომისი ამ უფლებათა დაცვის დროს უოვლად შეუწყნარებელი და შეუძლებელი იქნებოდაო. ვერ შეურიგდებით იმ ბრბოს, რომელმაც განიზრახა სახელმწიფოს არევ დარევა. ლორდთა პალატის გამოწვევას მივიღებთ, და ბრძოლის დამთავრება ნათლად დაანახვებს იმათ, რომ აღისთანა საქციელის გამეორება მომავალში მაინც უოვლად შეუძლებელი იქნებაო.

**სამოქალაქო და საეკლესიო ქორწინება იტალიაში.**

საფრანგეთში მღვდელი ჯვარს არა სწერს, სანამდის საქორწინო ხელ-შეკრულებას არ წარუდგენენ. ამ ხელ-შეკრულებას სდებენ ურთი-ერთ შორის სამოქალაქო მართველობის წარმომადგენლის თანადასწრებით. იტალიაში-კი ეს წესი არ არსებობს. მღვდელი არა თხოულობს ამ ხელშეკრულობას, სამაგიეროდ სამოქალაქო მთავრობის თვალში საეკლესიო ქორწინებას იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს. მდაბიო ხალხში ხშირად იბადება ხოლმე უთანხმოება. გაზეთი „ტაიმს"-ი გადმოგვცემს შემდეგ მაგალითს, ვინმე ჯიოვანნიმ ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ერთ ახალგაზრდა ქალზე, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა ჰქონია იმაზე, არსებობს თუ არა გარდა საეკლესიო ქორწინებისა კიდევ სხვა წესი. რამდენიმე წელიწადი იცხოვრეს ერთად, შვილებიც ჰყავდათ. ჯიოვანნიმ მოულოდნელად თავი გაანება და მეორე ქალზე დაქორწილდა სამოქალაქო წესით. პირველი ცოლი შეეცადა სასამართლოს საშუალებით ბავშვების გამოსაკვები ფული მაინც გამოერთმია ჯიოვანნისათვის. სასამართლომ უარი უთხრა—საჩივარი არ შეიწყნარა. მაშინ გაბრაზებულმა ქალმა ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა ჯიოვანნი. შესდგა ნაფიც-ვექილთა სასამართლო, რომელმაც ქალი გაამართლა. ამ პროცესმა დიდი მითქმა-მოთქმა და ინტერესი გამოიწვია. მემარცხენე პარტიების წარმომადგენლებს აზრადა აქვთ ისეთივე წესის შემოღება მოითხოვონ, როგორიც საფრანგეთშია. მაგრამ კათოლიკენი დიდს წინააღმდეგობას უმზადებენ ამ წესს. ისინი მტკიცედ იცავენ საეკლესიო ქორწინების უპირატესობას.

# რუსეთი

**ფინლიანდიის სეიმის დათხოვნა.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა დეპეშიდან იციან, ფინლიანდიის სეიმი კვლავ დაითხოვეს. მიზეზი ის არის, რომ სეიმმა არ მოისურვა რუსის ჯარისთვის 10 მილიონის გადადება. უმაღლესი ბრძანება სეიმის დათხოვნის შესახებ ჯერ ფინლიანდიის სენატმა მიიღო. სენატმა ორი სენატორი აირჩია ამ ბრძანების გადასაცემად სეიმისთვის. წინა ღამეს სეიმის სხდომამ ნაშუადღევის ორ საათამდე გასტანა. ამ სალამოთი ყველამ იცოდა, რომ მეორე დღეს სეიმს დაითხოვდნენ. ნაშუადღევის ორ საათზე მთელი სეიმი შეიკრიბა. შევიდა ორივე სენატორი: ერთმა, კრაატმა, სთქვა: „პატივცემულო თავმჯდომარევ და ფინლიანდიის სეიმო! სენატის დავალებით მაქვს პატივი ვაუწყო სეიმს უმაღლესი ბრძანება. ამ ბრძანების ძალით სეიმი დათხოვნილ იქმნა. უნდა დაინიშნოს არჩევნები. ახალი სეიმი შეიკრიბება ჰელსინგფორსში 1 მარტს 1910 წელს. სეიმში სამარისებური სიჩუმე იყო. 15 წუთით კრებამ შესვენება [illegible] ვანმა წაიკითხა თვით უმაღლესი მანიფესტი სეიმის დათხოვნის შესახებ. არც მანიფესტის წაკითხვამდე, არც შემდეგ კრინტი არავის დაუძრავს. მანიფესტის წაკითხვის შემდეგ დეპუტატები ჩუმად დაიშალნენ...

✦ **ვექილი-ქალი.** დეპეშებიდანვე იციან მკითხველებმა, რომ მოსკოვის ოლქის სასამართლოში ერთის საქმის (სისხლის სამართლის საქმე იყო) დამცველად გამოვიდა ქალი, ნაფიც ვექილის თანაშემწე ქ-ნი ფლეიშიცი. ეს ქალი, აგრეთვე ორი-სამი სხვა ქალი, როგორც წესია, ნაფიც-ვექილთა თანაშემწედ მიიღო მოსკოვის ნაფიც ვექილთა საბჭომ. როდესაც სასამართლოში ქალი გამოცხადდა, სასამართლო ცალკე ოთახში გავიდა და თათბირი გამართა იმაზე, თუ რამდენად კანონიერი ქალის ვექილობა. სასამართლომ კანონიერად სცნო ქ-ნ ფლეიშიცის ვექილობა, მაგრამ წინააღუდგა ამ საქმეში ბრალმდებელის თანაშემწე ნენაროკომოვი და იგი დემონსტრატიულად დარბაზიდან გავიდა. საქმის გარჩევა გადაიდო და ოლქის სასამართლომ ბრალმდებელის ამხანაგის საქციელი ოქმში შეიტანა. ამ საქმემ მთელ რუსეთის პრესაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საქმე ის არის, რომ კანონში არსად სიტყვა არ არის ნათქვამი იმის შესახებ, ვითომ ქალებს არ შეეძლოთ ვექილობა. მთელი მოწინავე რუსეთი მომხრეა ქალების ვექილობისა. წინააღმდეგნი არიან, რასაკვირველია, მთავრობის წარმომადგენელნი და შავ-რაზმელები. ქალები მაინც თავისას არ იშლიან. მოსკოვში რამდენიმე სხვა ქალია ნაფიც-ვექილის თანაშემწე—პოლგურსკაია, გირშმანი და ბუბნოვა. ყველა ესენი ამ ცოტა ხანს კვლავ აპირობენ სასამართლოში გამოსვლას.


# განცხადებანი

**კიეველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნაგასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირებს გარდა

**დ ი ლ ი თ :**

**ბ. ა. ნაგასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშობიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან-ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1/2}$ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ :**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/2}$ ს. საშობიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნაგასარდიანი.**
(წ.—1—215)

# იშვიათი შემთხვევა

**7 მან. 25 კაპიკათ**

ეგზავნებათ 2 საზამთრო ტანისამოსი: **„ინგლისური ტ რ ი კ ო"** მატყლისა მაგარი და მოდისა 2 არშ. მატერია $4^{1/4}$ არშ. განისა კაცის სრულ ტანისამოსისთვის და 4 არშ. **„ტრიკო პალმა"** ქალებისთ. მაგარი და შნოიანი ტანისამოსისთვის, გახვევით და გადაგზანით ფოსტით (უბეოდ და ურისკოდ). თუ არ მოეწონებათ, ქარხანა ფულს უკან უბრუნებს სრულად; ფასის დასადებად 16 კ.; ციმბირისთვის 85 კაპ. ადრესი: Въ фабрику А. Кивмана, Лодзь. N 18.
(3—ფ.—2)

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წ.**

# ზადუშევნოე სლოვო

(ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО)

ღრი ყოველ-კვირეული ნახატებიანი ჟურნალი მოზრდილთათვის და ყრმათათვის, დაარსებული ს. მ. მაკაროვის მიერ. გამოდის პ. მ. ოლხინას რედაქციით.

**ხელის მოსაწერი წელი 1 ნოემბრიდან 1909 წ.—პირველი № ი დაუყოვნებლივ იგზავნება.**

წლიური ხელის მომწერნი „ზ. სლ." **მცირე წლოვანთათვის** (5-დან 9 წ-მდე) მიიღებენ 52 NN და 48 საჩუქარს, სხვათა შორის: კედლის სურათს „Ничья" აკად. ხარლამოვისა; 12 ახალ თამაშობას და გასართობს ფერად და შავ ფურცლებზე; 12 წიგნაკს: ამბებს, მოთხრობებს და ზღაპრებს; 12 რვეულს „Дневникъ Мурзилки", „Маленькій русскій натуралистъ", თამაშობას „Стенка-растрелка" და სხ. სხ.

წლიური ხელ. მომწერნი „ზ. სლ." **მოზრდილთათვის** (9-დან 14 წლამდე) მიიღებენ 52 NN და 48 საჩუქარს, სხვათა შორის: აკვარელ. სურათს „Подайте слѣпому"; 12 მხატვრ. წ. ამბებს, მოთხრობებს და პიესებს, ყრმათათვის 8 რვეულს „Книги знамен. людей"; 6 რვეულს „Голубая волна",—ლ. ა. ჩარსკისა; „Библ. юнаго натуралиста"; მოსწავლეთა კალენდარს ჩასაწერ ფურცლებით და სხ. სხ.

ამას გარდა ყოველ გამოცემასთან გაიგზავნება: „Задушевное воспитаніе" და „Дѣтскія моды"; ხელის მოსაწერი ფასი ყოველ გამოცემისა „Задушевн. слов.", ყველა გამოცხადებული საჩუქრებით და დამატებანით, გაგზავნით და მიტანით,—წელიწადში **ექვსი მანეთი.** შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც 3 ვადაზე: 1. თავში, 2. თებერვალს და 3. 1-ლ მაისს ორ-ორი მან. ადრესი (გამოცემის აღნიშვნით): „Задушевное слово", კანტორები ვოლფის ამხ. წიგნის მაღაზიებთან—მოსკოვში: 1) Кузнецкій Мостъ, 12; ან 2) Моховая ул., 22.
(3—უ.—3)


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი [illegible]